



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ზოგადი მედიცინა
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
(ინგლისურ ენაზე)

ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 2023 წლის 17– 19 ოქტომბერი
ანგარიშის წარდგენის დღე: 2024 წლის 9 იანვარი

ერევანი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	Error! Bookmark not defined.
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	Error! Bookmark not defined.
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	24
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	Error! Bookmark not defined.
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	37
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	46

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	10047830
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ენდი გიბსი, დამოუკიდებელი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხალი ბოროსი, სუეგედის უნივერსიტეტი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სალომე ვორონოვი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჩიხლაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ედუარდ ავაგიანი, სომხეთის ტრადიციული მედიცინის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰეგინე მარტიკიანი, სომხეთის სამედიცინო ინსტიტუტი, სომხეთი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ზოგადი მედიცინა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	General Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7 საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი (ექიმი)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	კოდი: 91201.00.7 (სომხეთის კლასიფიკატორი) 0912 – მედიცინა (კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არა-აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერ თაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ინსტიტუციური აკრედიტაცია (N36, 24.12.2020)
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მ.პერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (YSMU) ზოგადი მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. YSMU-მ შეიმუშავა სასწავლო პროგრამა, რომელიც ინტეგრირებულია და შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დადგენილ სტანდარტებს და უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინეს გლობალური და რეგიონული საუკეთესო პრაქტიკა, რესურსები და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა მიჰყვება ტრადიციულ ერთსაფეხურიან მიდგომას და იცავს როგორც სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, ასევე ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონის სტანდარტებს. პროგრამა აერთიანებს ფუნდამენტურ ცოდნას კლინიკურ უნარებთან და ბიოსამედიცინო მეცნიერებების კვლევებთან. ეს სტრუქტურა მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას შემდგომი აკადემიური საქმიანობისთვის და სამედიცინო სერვისებსა და კვლევებში წვლილის შეტანისთვის.

სამედიცინო პროგრამის თავისებურებები მოიცავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინტეგრაციას, რომელიც მოიცავს ისეთ საგნებს, როგორცაა მედიცინის ისტორია, ლათინური ენა, სომხური ენა და ფილოსოფია. სასწავლო პროგრამა ინტეგრირებულია ფუნდამენტურ, პრეკლინიკურ და კლინიკურ დისციპლინებში, ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური პრინციპების გამოყენებით. ის ასევე ამზადებს სტუდენტებს აშშ-ს სამედიცინო სალიცენზიო გამოცდისთვის.

პროგრამას აქვს კვლევითი კომპონენტი, სადაც სტუდენტები ერთვებიან სხვადასხვა სამედიცინო სფეროში; ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ კვლევით პროექტებზე და აკადემიურ წერაზე. არსებობს გრძელვადიანი მოდულები, რომლებიც ორიენტირებულია კლინიკურ უნარებსა და ეთიკურ მოსაზრებებზე. YSMU-ს აქვს სტუდენტების მხარდაჭერის სისტემა, რომელიც მოიცავს მრჩევლებს, მენტორებსა და კოორდინატორებს. გარდა ამისა, არსებობს რეგულაციები კლასგარეშე აქტივობებისთვის როგორც სომხეთში, ისე საერთაშორისო დონეზე.

YSMU-ის მიზანია მოამზადოს მედიცინის პროფესიონალები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და მზად იქნებიან სპეციალიზაციისთვის. დაწესებულება მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში ხელი შეუწყოს ისეთი თვისებების განვითარებას, როგორცაა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და ჯანდაცვის სფეროში კვლევის როლის გააზრება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა დაწესებულებაში ვიზიტამდე/წინასწარ. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა ის სტანდარტები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა მათ ექსპერტიზას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა განიხილა ყველა მოწოდებული დოკუმენტაცია და მოამზადა ის შესასწავლი საკითხები, რომლებიც უნდა დაეზუსტებინათ სამდღიანი ვიზიტის დროს. უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17, 18 და 19 ოქტომბერს. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ამ დოკუმენტების მიწოდება ვიზიტის დასრულებამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინგლისურენოვანი, სომხური და რუსულენოვანი პროგრამები ერთდროულად განიხილა. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი დაესწრო შეხვედრებს პროგრამასთან დაკავშირებულ ძირითად პერსონალთან, მათ შორის რექტორთან და პრორექტორებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან, დეკანთან, სტუდენტური სერვისების მენეჯერებთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტური პარლამენტის პრეზიდენტებთან. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის დაწესებულებები. ჰქონდა შესაძლებლობა, კითხვები დაესვა ორ კლინიკურ სივრცეში, კვლევით დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და სტუდენტურ სივრცეებში.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამას განსაზღვრული აქვს მკაფიო ამოცანები და სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას. იგი შექმნილია სხვადასხვა სამედიცინო დისციპლინაში ცოდნის ინტეგრირებისთვის, ხაზს უსვამს პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვას, ეფექტურ კომუნიკაციას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შემოთავაზებულია მათი საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდა გამჭვირვალობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა იყენებს სწავლების მრავალფეროვან და თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია სწავლის შედეგების მისაღწევად. იგი მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებას სიმულაციური და კლინიკური პრაქტიკის საშუალებით. ასევე, ახლახანს დაინერგა OSCE გამოცდები. შეფასების სისტემა განვითარდა და მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, თუმცა ექსპერტთა აზრით, უმჯობესი იქნება თუკი ქულების განაწილებისთვის კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო დეტალურად გაიწერება.

უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. იგი სტუდენტებს სთავაზობს საკონსულტაციო და დამხმარე სერვისებს აკადემიური და

კარიერული განვითარებისთვის. არსებობს კლასგარეშე აქტივობების ფართო სპექტრი და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, თუმცა მათში მონაწილეობის მაჩვენებელი, როგორც ჩანს, ოპტიმალურზე დაბალია, სავარაუდოდ პროგრამათა შეუსაბამობისა და პანდემიის გამო.

ეს დასკვნა ადასტურებს, რომ პროგრამა კარგად არის მხარდაჭერილი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს მის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას. დასაფასებელია ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, როგორცაა სიმულაციური ცენტრი და OSCE საგამოცდო სივრცე. ასევე ჩანს ძალისხმევა, რომ საგანმანათლებლო მასალა განახლდეს.

პროგრამა აქტიურად არის ჩართული შიდა და გარე ხარისხის შეფასებებში მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. ის პასუხობს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს და იყენებს ამ შეფასებების მონაცემებს პროგრამის განვითარებისთვის. სასურველია დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირისთვის უფრო მეტად სტრუქტურირებული ფორუმების შექმნა და მეტად ტექნოლოგიური სწავლების მეთოდების ინტეგრირება.

მთლიანობაში, პროგრამა არსებითად შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიის, სტუდენტთა მიღწევებისა და სასწავლო რესურსების დადგენილ სტანდარტებს. პროგრამა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს ბევრ მიმართულებაში, თუმცა მაინც რჩება ადგილი შემდგომი განვითარებისთვის, განსაკუთრებით სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნები გახადეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგალითად დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, რათა გააუმჯობესოთ გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
2. კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ უნდა კონტროლდებოდეს და უკეთ უნდა იყოს აღწერილი, რადგან უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია.
3. უნდა გადაიხედოს სომხური ენის სწავლება და სწავლა, მათ შორის გაიზარდოს გამოყოფილი საათები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების საკმაო კომპეტენციას პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. ასევე გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ერთმანეთთან დაკავშირება, თემებსა და საგნებს შორის კავშირი, წინაპირობები).
4. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზას შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოფილი იყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.
5. უცხოელი სტუდენტებისთვის საჭირო იქნება სომხური ენის დამატებით არჩევით სასწავლო კურსებზე მეტი აქცენტი.
6. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათი.

7. უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის მოდულური სტრუქტურა, ასევე უნდა გადაიხედოს და შემდგომ განვითარდეს ინტეგრაციის (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები) დონეები შეთანხმებული საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე.
8. რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.
9. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამა და ნათლად განისაზღვროს და გაიწეროს სასწავლო გეგმაში უნარების/კვლევითი კომპეტენციების ჩამონათვალი.
10. შეადგინეთ და დანერგეთ უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები ქულების მინიჭებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. რეგულარულ სემინარებს ან უკუკავშირის სესიებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, ფაკულტეტიდან დაწყებული სტუდენტების ჩათვლით, შესაბამისობაში იყოს პროგრამის მიზნებთან.
2. სამედიცინო სფეროს დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია, პერიოდულად განიხილოთ და განახლდეს პროგრამის მიზნები მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.
3. დარწმუნდით, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყველა დამსაქმებელი სრულად იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს.
4. გადახედეთ განმავითარებელი შეფასების განრიგს და იმსჯელეთ, სხვა ტერმინი უფრო ზუსტად აღწერას, ხომ არ უზრუნველყოფდა.
5. გადახედეთ დაწესებულების მიერ დადგენილ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რათა უზრუნველყოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები.
6. წახალისეთ თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტსა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს და კლინიკური მედიცინის საგნებს.
7. პროგრამის სტრუქტურა შეიძლება გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს. ამის ჩვენება შესაძლებელია უსდ-ს ვებგვერდზე.
8. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ინგლისური სახელები ნაკლებად გასაგებია, მაგალითად - კერძო ქირურგია (Private Surgery) შეიძლება იყოს "ზოგადი ქირურგია" (General Surgery) და ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (Topographical Anatomy and Operative Surgery) შეიძლება იყოს "ქირურგიული ანატომია და ტექნიკა" ("Surgical Anatomy and Techniques").
9. დახვეწეთ მოდულის განმარტება.

10. გადახედეთ აკადემიური საათების განაწილებას.
11. სასურველია სავალდებულო ლიტერატურაში გამოიყენეთ საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო.
12. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; წახალისეთ აქტიური სწავლების ტექნიკები, როგორცაა პრობლემის გადაჭრა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები.
13. მეტი ყურადღება დაუთმეთ სომხურ ენაზე კომუნიკაციის უნარებს.
14. ელექტრონული სწავლების მიდგომები შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიკური კონცეფციის გასაუმჯობესებლად.
15. გააძლიერეთ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოები სტუდენტებისათვის, მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში დეპარტამენტებში/კლინიკებში.
16. სასურველია მრავალკომპონენტური შეფასების სისტემის დანერგვა ყველა საგნისთვის.
17. გააგრძელეთ ERASMUS+-ის პროგრამისკენ სწრაფვა და ჩამოაყალიბეთ ორმხრივი პარტნიორობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რათა გაზარდოთ შესაძლებლობების დიაპაზონი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროგრამებში.
18. სწავლების მხრივ არსებულ სამუშაო დატვირთვასთან ერთად, დანერგეთ სამეცნიერო და სხვა აქტივობების წლიური ნორმებიც.
19. გაამდიდრეთ საბიბლიოთეკო, ასევე დეპარტამენტების რესურსები და სიმულაციური ცენტრის/ OSCE გამოცდის რესურსები.
20. მეტად გააუმჯობესეთ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ინვესტიცია ჩადეთ ისეთ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ინფორმირებულობას, განსაკუთრებით გარე დაინტერესებული მხარეების, როგორებიც არიან დამსაქმებლები.
21. სასურველია შეფასების შედეგების გამარტივება, რაციონალიზაცია და პრიორიტეტად ქცევა, შეფასების მიგნებების კონსოლიდირებისთვის სტრატეგიების შემუშავების გზით და მათი სტრატეგიული გავლენის პოტენციალის საფუძველზე, პრიორიტეტულობის მინიჭებით.
22. შეისწავლეთ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები შეფასების პროცესების ოპტიმიზაციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეფასების მიგნებების ანალიზის გასაუმჯობესებლად.
23. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, შესაძლებელია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განხორციელება, სადაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. აღნიშნულის მხარდასაჭერად რეგულარულ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრავალ მაგიდასთან და სამუშაო შეხვედრები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

უნივერსიტეტს აქვს სწორი მიდგომა სასწავლო გეგმის შემუშავებაში და მან წარმატებით ჩართო პერსონალი სასწავლო გეგმის ცვლილების პროცესში.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ძირითადად დაეთანხმა რეკომენდაციებსა და რჩევებს, შესაბამისად, არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული და დამატებითი დოკუმენტების დეტალური შესწავლის, ასევე შესაბამის პერსონალთან, მათ შორის მენეჯერებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისა და შეხვედრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზნების სიღრმისეული ანალიზი. მიზნები ყურადღებით არის ჩამოყალიბებული, ასახავს დაწესებულების ძალისხმევას, რომ მოამზადოს ყოველმხრივ კომპეტენტური პროფესიონალები მედიცინის დარგში.

პროგრამის მთავარი მიზანია, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სხვადასხვა დისციპლინიდან, მათ შორის ბიომედიცინიდან, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებებიდან მიღებული ცოდნის შეუფერხებელი ინტეგრირება. ეს ჰოლისტური მიდგომა შემუშავებულია იმისთვის, რომ მოამზადოს ისეთი პროფესიონალები, რომლებიც პაციენტთა მაღალი ხარისხის ზრუნვას უზრუნველყოფენ. ამ მიზნების მკაფიოობა და მათი უნივერსიტეტისა ზოგადი მედიცინის ფაკულტეტის მისიასთან შესაბამისობა, ხაზს უსვამს მის რეალურობას და მიღწევადობას.

გარდა ამისა, პროგრამაში ხაზგასმულია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გასაგები, კომპეტენტური და ეფექტური დიაგნოსტიკა და დიაგნოზის მართვა. ეს ასპექტი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები ადაპტირებულები იყვნენ სამედიცინო პრობლემების გამოვლენასთან და განახორციელონ სათანადო ჩარევები, ისე, რომ პრიორიტეტი მიანიჭონ პაციენტზე ორიენტირებულ მოვლას. ეფექტური კომუნიკაცია პროგრამის კიდევ ერთი ქვაკუთხედი. მედიცინაში კომუნიკაციის გადამწყვეტი როლის გაცნობიერებით, პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებს განუვითაროს ძლიერი ინტერპერსონალური და პროფესიული საკომუნიკაციო უნარები.

ინდივიდუალური პაციენტის მოვლის გარდა, პროგრამა ასევე ფოკუსირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უფრო ფართო გაუმჯობესებაზე. კურსდამთავრებულები სწავლობენ ინოვაციური სტრატეგიების გამოყენებას

მნიშვნელოვანი კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან წვლილის შეტანას საზოგადოების გაუმჯობესებაში. ეს აქცენტი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე და ინოვაციური სტრატეგიების გამოყენებაზე მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამას პროგრესული მიდგომა აქვს და თავისი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

მიზნები ეხმიანება უნივერსიტეტისა და ზოგადი მედიცინის ფაკულტეტის უფრო ფართო მისიას. პროგრამის ყოვლისმომცველი მიზანია, გამოუშვას საერთაშორისოდ აღიარებული ექიმები, რომლებიც არიან არა მხოლოდ ექსპერტები თავიანთ სფეროში, არამედ წვლილს შეიტანენ უფრო ფართო სამედიცინო საზოგადოებაში. ამკარაა პროგრამის მიზნების შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან და ეს მისასაღებელია.

უფრო მეტიც, მიზნები არ არის მხოლოდ თეორიული კონსტრუქციები; ისინი სათავეს იღებს სამედიცინო სფეროს პრაქტიკული მოთხოვნებიდან. პროგრამა მორგებულია როგორც სომხეთის, ასევე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მზაობას სხვადასხვა შრომის ბაზრისთვის. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, როგორცაა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME), კიდევ უფრო ხაზს უსვამს პროგრამის მისწრაფებას გლობალური სრულყოფილებისკენ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში შეიცავს დეტალურად აღწერილ მიზნებს, ის ამკარად არ ასახელებს მათ საჯარო ხელმისაწვდომობას და მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს მიზნების ხელმისაწვდომობა და მათი ინფორმირებულობა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ამ მიზნების უსდ-ს ვებგვერდზე ნახვა. იმის უზრუნველყოფა, რომ ეს მიზნები ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის და საზოგადოებისთვის, გააძლიერებს გამჭვირვალობას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ასახავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამაში, ის ცალსახად არ აცხადებს, იზიარებს თუ არა მიზნებს ყველა ჩართული მხარე. დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ იცოდნენ მიზნების შესახებ, მაგრამ არ გაუკეთებიათ კრიტიკული კომენტარი მათზე და შემდგომში ვერ დაასახელეს უკუკავშირის მიწოდების ან მიზნების განახლების ოფიციალური სისტემატური მექანიზმი. მათ ასევე გამოხატეს კმაყოფილება, რომ პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს მათ, როგორც დამსაქმებლებს. იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, დაწყებული ფაკულტეტიდან, სტუდენტების ჩათვლით, კარგად იცნობდეს და შესაბამისობაში იყოს ამ მიზნებთან, უფრო მეტად გააძლიერებდა პროგრამის თანმიმდევრულობასა და ეფექტურობას.

საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მტკიცებულებები და დაასკვნა, რომ სტანდარტი 1.1 „პროგრამის მიზნები“-ს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თუმცა, მიზნების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი საყოველთაო გააზრება, საჭიროებს მეტ ყურადღებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა ანალიზი;
- ვებგვერდი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

პროგრამის მიზნები გახადეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგალითად დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, რათა გააუმჯობესოთ გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რეგულარულ სემინარებს ან უკუკავშირის სესიებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, ფაკულტეტიდან დაწყებული სტუდენტების ჩათვლით, შესაბამისობაში იყოს პროგრამის მიზნებთან.

სამედიცინო სფეროს დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, პერიოდულად განიხილოთ და განახლდეს პროგრამის მიზნები მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1. პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური) შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს, შესაბამისად მედიცინის დარგობრივი მახასიათებლებისა და ეროვნული

(სომხური) კვალიფიკაციის ჩარჩოს (NQF) შეფასების კრიტერიუმების საქართველოს აკრედიტაციის სტანდარტებისა და უმთავრესად WFME-ს პრინციპების საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამ ძირითად დომენად: ცოდნა და გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომია და საერთო ჯამში წარმოდგენილია 12 სწავლის შედეგის სახით.

პროგრამის სწავლის შედეგები:

- შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს, ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად და ასევე შეესატყვისება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
- შეესაბამება პროგრამის ძირითად მიზნებს და გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.
- მკაფიოდ აღწერს კურსის დასრულებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს. ისინი მიღწევადი და რეალისტურია. კლინიკური მეცნიერებები ორიენტირებულია პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე და მოიცავს ეფექტურ კომუნიკაციას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დიაგნოზს და მკურნალობას.
- ყურადღებას ამახვილებს პროგრამის შინაარსით განსაზღვრულ ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებზე, და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გრძნობაზე.
- ხაზს უსვამს ფუნდამენტური და კლინიკური ცოდნის მნიშვნელობას, პრაქტიკულ/კლინიკურ/კვლევით უნარებთან ერთად (დიაგნოსტიკის მეთოდების ჩათვლით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა), აგრეთვე ეთიკური, სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობის გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში.
- შეესაბამება თითოეული კომპონენტის (მოდულის) სწავლის შედეგებს: ყოველი კურსის აღწერილობის ბოლოს ნაჩვენებია კავშირი კონკრეტული კურსისა და ზოგად სწავლის შედეგს შორის. მოდულის სწავლის შედეგები ყალიბდება პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების/სწავლის/შეფასების შემდგომი მეთოდოლოგიები განისაზღვრება თითოეულ სილაბუსში, რათა გავიდეს თითოეული მოდულის სწავლის შედეგზე.

თვითშეფასების ანგარიშში, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.) აქტიური ჩართულობით. თუმცა, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს აღმოვაჩინეთ, რომ ისინი

ბოლომდე არ იცნობენ მის კონცეფციებს. შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად ცოდნა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა,

- თვითშეფასების ანგარიში,
- ინტერვიუს შედეგები.
- სწავლის შედეგების რუკა

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დარწმუნდით, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყველა დამსაქმებელი სრულად იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები შედეგები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- დაწესებულებას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კონცეფციის მიზანს შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის მიმართ, შეფასების ეტაპებს, პრინციპებს, სტანდარტებს, მეთოდებს და მისი დადგენის პროცედურებს. დაწესებულება იყენებს ვალიდურობის, ობიექტურობის, პრაქტიკულობის, ხარჯეფექტურობისა და სანდოობის პრინციპებს შეფასების სისტემის სამიზნე ნიშნულის მისაღწევად.
- PDCA ციკლი გამოიყენება შედეგების ურთიერთდამოკიდებულების უზრუნველსაყოფად, შედეგების მიღწევისა და პროგრამის გაუმჯობესების

დინამიკის შესაფასებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყენებს გამოკითხვებს პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, ჩამოთვლილ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის: სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, დასკვნითი გამოცდის შედეგების მრავალფაქტორიანი ანალიზი, უკუკავშირი საჩივრების საშუალებით და გამოკითხვა „მასწავლებელი სტუდენტების თვალთ“, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა (კლინიკური რეზიდენტების) პროგრამის შედეგებით კმაყოფილების დონე; შედეგით განსაზღვრული სურვილებისა და რეკომენდაციების განხილვა არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთავარი ინსტრუმენტი.

- პროგრამის სწავლის შედეგები შედგება ცოდნის, უნარებისა და ავტონომიისა და პასუხისმგებლობისგან. თითოეული კომპონენტი განიხილება პროგრამის ყველა კურსში შინაარსის, სწავლა- სწავლებისა და შეფასების მეთოდების დონეზე.
- პროგრამაში ცოდნის კომპონენტის მიღწევის შეფასების პოლიტიკა ვრცელია. ის მოწმდება თითოეულ კურსზე და კურსების აბსოლუტური უმრავლესობა (კლინიკური კურსების ჩათვლით) მთავრდება წერილობითი გამოცდით. რაც შეეხება სწავლის შედეგების უნარების ნაწილს – უნარების შეფასების ნაწილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია. კლინიკური უნარების სწავლება განიხილება კურსებში (განსაკუთრებით კლინიკურ კურსებში) შესაბამისი მეთოდოლოგიით, მაგრამ შემდგომში არ ითარგმნება შეფასებაში - უმეტესად, კურსის მსვლელობისას უზრუნველყოფილია უნარების განმავითარებელი შეფასება, ხოლო შემაჯამებელი შეფასება, როგორც წესი, პროგრამის დასასრულს ხდება, როდესაც სტუდენტები საბოლოო გამოცდას გადიან (ატესტაციას).
- აქ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ახალი და თანამედროვე OSCE ცენტრი, სადაც სტუდენტები გამოცდებს ახარებენ. გარდა ამისა, არსებობს კლინიკური უნარების განყოფილება მანეკენებითა და ძირითადი ტექნიკით და საკმარისი კლინიკური საფუძვლები კლინიკური უნარების ნაწილის სწავლებისა და შეფასებისთვის, რაც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სწავლის შედეგების უნარებისა და ავტონომია- პასუხისმგებლობის ნაწილის მიღწევის უზრუნველსაყოფად.
- აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები სწავლის შედეგების შეფასების კუთხით: გარე შეფასების ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიცვალა სწავლის შედეგების პროგრამის ფორმირება, ასევე დაიხვეწა მათი მიღწევის მეთოდები წინა პროგრამასთან შედარებით: პროგრამა ითვალისწინებს მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემას, ასევე კლინიკური უნარების სწავლებისა და შეფასების ახალ მეთოდოლოგიას, რაც ასახულია პროგრამაში.

რომ შევაჯამოთ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს ყოვლისმომცველ და სისტემატურ მიდგომას, რაც გულისხმობს არა მხოლოდ თითოეულ კურსზე მიღწეული შედეგების კუმულატიურ ჯამს, არამედ ეტაპობრივ შეფასებას, რომელიც საშუალებას იძლევა შეაფასოს სტუდენტის პროფესიული განვითარება და განსაზღვრული მიზნის მიღწევა პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე,

ასევე დაიგეგმოს შემდეგი ეტაპი: საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ საგნებს შორის არსებული ინტეგრაცია, როგორც ჩანს, გარანტირებულია და ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებში ისეთი უნარების განვითარება, რომ აიღონ შესაბამისი კლინიკური პასუხისმგებლობა სწავლის დამთავრების შემდეგ და გააგრძელონ პროფესიული განვითარება. სწავლების პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, სწავლებისა და სწავლის დამხმარე მეთოდები თანამედროვეა, აკმაყოფილებს პროფესიულ მოთხოვნებს და შესაფერისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზებს შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაანალიზებული გამოკითხვები
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აღწერა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ უნდა კონტროლდებოდეს და უკეთ უნდა იყოს აღწერილი, რამეთუ უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზებს შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გადახედეთ განმავითარებელი შეფასების განრიგს და იმსჯელეთ, სხვა ტერმინი უფრო ზუსტ აღწერას, ხომ არ უზრუნველყოფდა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში
		5	5	

1.3 პროგრამის
სწავლის
შედეგების
შეფასების
მექანიზმი



1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სომხურენოვანი ზოგადი მედიცინის (MD) პროგრამის სტრუქტურული დეტალები შეგიძლიათ იხილოთ YSMU ვებსაიტზე. სომხური, ინგლისური და რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამების კომპოზიცია არსებითად ერთნაირია, იდენტური ელემენტებითა და შემადგენლობით, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მცირე განსხვავებათა შორის არის სომხური ენის დამატებითი კურსები ინგლისურ და რუსულ პროგრამებში, რაც ტარდება პრეკლინიკურ ფაზაში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენა ფართოდ არის გავრცელებული სომხეთში, შესაბამისად პრაქტიკულად შესაძლებელია მისი გამოყენება სასწავლო გარემოში, ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში სომხური ენა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს და სტუდენტებს ესაჭიროებათ ენის კურსები იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეფექტური სამედიცინო კომუნიკაცია. ინგლისურენოვანი პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ეფექტური შიდაპერსონალური და პროფესიული კომუნიკაციის უნარების გამოყენებით და სომხური ენის შესაბამისი ცოდნის ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს სირთულეები პაციენტებთან და მათ ნათესავებთან კომუნიკაციაში. აღნიშნული მიზნით, ინგლისურენოვანი პროგრამა ითვალისწინებს აუცილებელი სომხური ენის კურსებს, თუმცა დარგის-სპეციფიკის კომპეტენცია მოითხოვს პაციენტთან ეფექტური კომუნიკაციის წარმართვას ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება დამატებით მოსამზადებელ კურსებზე სამედიცინო კომუნიკაციაში და დაკავშირებულ სფეროებში (როგორც არის ეთიკის პრინციპები, ისტორიის შედგენა საოჯახო მედიცინაში). საერთაშორისო სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ აუცილებელია სომხურ ენაში მომზადება მომდევნო სემესტრებში სიმულაციური პაციენტების და დამატებითი (არჩევითი) სწავლის შესაძლებლობების გამოყენებით.

YSMU-ს ზოგადი მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა შეესაბამება სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 საფეხურს (ბაკალავრიატი + მაგისტრატურა) და ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 საფეხურს. სწავლის ხანგრძლივობაა 6 სასწავლო წელი 12 სემესტრით, სტაჟირების 1 წლის ჩათვლით. პროგრამები შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და შედგება 360 ECTS კრედიტისგან. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 1 ECTS უდრის 30 სასწავლო საათს (რომელიც შეიცავს

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს). თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სრულ განაკვეთზე, მოდულის/კომპონენტის კრედიტის დატვირთვა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების თანაფარდობა განისაზღვრა ფაკულტეტის მიერ, კურსის სპეციფიკისა და საგნის შინაარსის მოცულობის გათვალისწინებით (მოდულისთვის საჭირო ლიტერატურის გვერდების რაოდენობის ჩათვლით).

პროგრამა ეფუძნება საუკუნოვანი, ტრადიციული დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ზოგადი მედიცინის) სომხურენოვან პროგრამას, რომელიც ახლახან გადაკეთდა, ინტეგრირებული ელემენტებით, სამედიცინო სასწავლო გეგმების მიმდინარე სიახლეებისა და მოლოდინების გასათვალისწინებლად. ინტეგრაციული მიდგომები ეფუძნებოდა წინასწარ განსაზღვრულ ხარისხის სტანდარტებს, რომელთა მიზანი იყო ძირითადი თეორიული ცოდნისა და ბიოსამედიცინო მეცნიერებების უახლესი მიღწევების გაერთიანება მოდულურ ჩარჩოში. სომხურენოვანი პროგრამა მხარდაჭერილია ძლიერი კლინიკური გარემოთი - საკუთრებაში არსებული 3 კლინიკა და მრავალი სხვა საკონტაქტო საავადმყოფო.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიები. ამ პოლიტიკის მიხედვით, პროგრამის პროექტი ჯერ დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამის განხილვისა და დამტკიცების დროს შეფასდა, რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმის სტრუქტურა, პროგრამის შინაარსი და მოდულები და ლოგისტიკური რესურსები სომხეთის ეროვნული და დარგობრივი კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს. გამიზნული იყო, რომ პროგრამა უნდა წარედგინათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (NCEQE) აკრედიტაციისთვის და, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამედიცინო პროგრამების ქართულ დარგობრივ მახასიათებელთან თავსებადობა.

ეს დაგეგმილი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამა კარგად იყოს გააზრებული და მიზანმიმართული, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის ძლიერ საგანმანათლებლო საფუძველს და ასახავს უსდ-ის ვალდებულებას, წვლილი შეიტანოს სამედიცინო სფეროს განვითარებაში. მართლაც, სომხური საგანმანათლებლო პროგრამა მიჰყვება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს, სასწავლო გეგმის განმავლობაში ისწავლება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, რაც ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ თავიანთი პროფესიის სამეცნიერო განვითარებაში. გარდა ამისა, პროგრამები აერთიანებს ქცევითი და სოციალური მეცნიერებების წვლილს და თეორიული ნაწილით იძლევა ეფექტური კომუნიკაციისა და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. როგორც ჩანს, უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ საგნებს შორის ადეკვატური ინტეგრაცია, ასე რომ, ამ პროგრამაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესი მოსალოდნელია, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს მიაწოდებს სათანადო უნარებს, რათა მათ პროგრამის დასრულების შემდეგ, აიღონ კლინიკური პასუხისმგებლობები და გააგრძელონ პროფესიული განვითარება.

სომხურენოვანი პროგრამის სტრუქტურა უფრო დეტალურად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში. ის დაფუძნებულია ხუთ „საგანმანათლებლო საყრდენზე“, ესენია (1) ზოგადი განათლება/შესავალი მედიცინაში, (2)

სტრუქტურული მედიცინა, (3) ფუნქციური მედიცინა, (4) პრეკლინიკური მედიცინა ან პათოლოგიური მედიცინის საფუძვლები და (5) კლინიკური მედიცინა. თითოეული ეს საყრდენი მოიცავს ნაწილობრივ ინტეგრირებულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კავშირებს, ისევე როგორც სპირალურად გაგრძელებულ მოდულებს (როგორც აღწერილია თვითშეფასების ანგარიშის დანართ 2-ში - YSMU დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა). აქ უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის რუკა არ იყო გამოსადეგი სათანადო ნავიგაციისთვის, რამეთუ მასში მოცემული იყო მხოლოდ ამ საყრდენტთა სია და მათი ქვედანაყოფები (70-ზე მეტი). უნდა დაემატოს, რომ განახლებულ სასწავლო გეგმას შეუძლია გაზარდოს ინტეგრაციის დონეები სხვადასხვა საგნების ან კურსების ერთმანეთთან დაკავშირების გზით, უფრო თანმიმდევრული სასწავლო გეგმის შესაქმნელად. ვიზუალურად კურიკულუმის უკეთ წარმოჩენამ, სამეცნიერო სტატიის ციტირების ქსელის მსგავსად, შესაძლოა უკეთ გამოაჩინოს სხვადასხვა ერთეულს შორის არსებული კავშირები და ახალი გზები, ასევე შესაძლოა ამ მეთოდმა გამოავლინოს ის კავშირები, რაც ჯერ არ არსებობს, მაგრამ პოტენციურად რელევანტურია (მაგ., ფტიზიოლოგია პულმონოლოგიაში, კარდიოქირურგია კარდიოლოგიაში, პედიატრიული ქირურგია პედიატრიის ქვეშ და ა.შ.).

აქვე უნდა დავამატოთ, რომ პროგრამის სტრუქტურა შეიძლება გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს უსდ-ს ვებგვერდზე. ასევე სასარგებლო იქნება იმ ორგანიზაციული ერთეულების ჩამონათვალი, რომლებიც ასრულებენ ადმინისტრაციულ და დამხმარე როლს განათლებასა და კვლევაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კომპონენტების, მისი „სამშენებლო ბლოკების“ განმარტება, თითოეული ძირითადი ელემენტის შინაარსის განსაზღვრა, ხშირად ბუნდოვანია. ჰუმანიტარული მეცნიერებები (მოიცავს ლათინურ ენას და სამედიცინო ტერმინოლოგიას, აკადემიურ ინგლისურს და ა.შ.) ალბათ არ არის ჩართული ამ საყრდენებში, ყოველ შემთხვევაში, სილაბუსების აღწერილობიდან ასე ჩანს. ეს საყრდენები შემდგომში იყოფა დანომრილ ქვეთავებად (მაგ., „ჰომეოსტაზის სტრუქტურიდან ფუნქციამდე“ კურსი ეკუთვნის სტრუქტურულ მედიცინა 4-ს და ფუნქციურ მედიცინა 1-ს), რომელთა ფონი ასევე ბოლომდე არ არის გასაგები ან ნაკლებად განსაზღვრულია.

ამ სქემის ფარგლებში მოდულური სწავლების სტრატეგიები შემუშავდა 2022-დან 2023 წლამდე, როდესაც უსდ-მ გააერთიანა და გააფართოვა რამდენიმე სპეციალობის კურსი (თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი მაგალითები არის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის კურსები), გაზარდა კვლევის მასშტაბი (10 ECTS-მდე), გაზარდა პედიატრიის კურსის კრედიტებით დატვირთვა, შეიმუშავა ახალი, დისკრეტული კურსი პრაქტიკაზე დაფუძნებული უნარების შესახებ, გაფართოვდა სამედიცინო ფსიქოლოგიის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კურსების თემატური სფერო, გააუმჯობესა შეფასების სისტემა შინაგანი მედიცინის, ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კურსებსა და სხვა კურსებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, „საყრდენების“ ტერმინოლოგია ადეკვატურად ან სრულად არ ფარავს მოდულის შინაარსს (მაგ., როდესაც ის იყოფა ორ საყრდენად, მაგალითად,

სტრუქტურული მედიცინა და ფუნქციური მედიცინად) და გარდა ამისა, ბოლომდე არ არის ნათელი, რა იყო კონკრეტული საგნის ან საგნის ნაწილების კონკრეტულ მოდულში მოთავსების საფუძველი (მაგ. სიყვითლისა და ჰიპერურიკემიის შეერთება გულის აქტივობის კლინიკურ გამოვლინებებთან და მეთოდებთან, როგორც ეს მოცემულია მე-9 მოდულში, ფუნქციური მედიცინა 3).

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მოდული შეიცავს კურსებს, რომლებიც უფრო მეტად ერთმანეთთან შესაფერისია ჰორიზონტალური ინტეგრაციის თვალსაზრისით და უზრუნველყოფს ყველაზე ეფექტურ სასწავლო პრაქტიკას. ამ საფუძველზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო გეგმა შეიცავს მოდულურ კურსებს საბუნებისმეტყველო და ბიოსამედიცინო მეცნიერებებში, ძირითადად პირველ-მესამე წლებში და კლინიკურ კურსებს 4-6 წლებში. მე-6 კურსზე სასწავლო გეგმა არის როტაციული ტიპის: დაკვირვებითი მონაწილეობა პაციენტთა მოვლის კლინიკურ ასპექტებში. ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარება სრულდება მე-6 კურსზე და დასტურდება მრავალფაზიანი დასკვნითი გამოცდით (ტესტები, ზეპირი გამოცდები და OSCE), რომელიც აფასებს სტუდენტების კლინიკურ მუშაობას. სასწავლო გეგმაში ასევე შედის სამედიცინო გუნდში მუშაობის უნარის განვითარება და დემონსტრირება, კლინიკურ პრაქტიკაზე დაფუძნებული ასპექტები, სათანადოდ არის განსაზღვრული კლინიკური საგნების პრაქტიკული კომპონენტები და, როგორც ჩანს, გარანტირებულია სიმულირებული სცენარებისა და პაციენტის საწოლთან კლინიკურ პრაქტიკაზე წვდომა. სტრუქტურირებული ხარისხის კონტროლისა და მხარდაჭერის სისტემა გამოიყენება თითოეულ პროგრამაში. ხელმძღვანელებს, კლინიკურ მენტორებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის ფორმები და ინტენსივობა ასევე ადეკვატური ჩანს.

„YSMU-ს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის“ აღწერის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისას პროფესიული და ეთიკური ღირებულებების განვითარება სპირალურად ხდება. მიუხედავად ამისა, ეს პოზიცია ნაკლებად არის დაკონკრეტებული ხელმისაწვდომ დოკუმენტაციაში, რაც ართულებს იმის ანალიზს, თუ სად და როგორ მიიღწევა შემდეგი ეტაპი გაძლიერებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. მნიშვნელოვანი იქნებოდა ცალკე დიაგრამა, რომელიც აღწერს "სპირალურ მახასიათებლებს" - და ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კავშირებს მოდულებსა და სწავლის შედეგებს შორის. რაც შეეხება სპირალურ მახასიათებელს, განსაზღვრული თემის, როგორცაა BLS - ALS - კრიტიკული თერაპიის კურსის თანმიმდევრობა (ან მსგავსი სასწავლო კურსი, მოწინავე დონეზე, ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის დროს), "შესავალი - გაძლიერება - განტმკიცების" ციკლი ადვილად შეიძლება ჩართული იყოს სასწავლო გეგმაში. ანალოგიური ვითარება კომუნიკაციაში ჩართული პრეკლინიკური და კლინიკური კურსებისთვის, საჭიროა უკვე ხელმისაწვდომი პრაქტიკული შესაძლებლობების (მაგ. კარგად გაწვრთნილ იმიტირებულ პაციენტებთან) ბევრად მეტი გამოყენება, „შესავალი-გაძლიერება- განტმკიცების თანმიმდევრობის მიმართულებით. გარდა ამისა, პროცედურული უნარები (მაგ. ხელის ჰიგიენა, ინექციები, სახვევები, ან ქირურგიული ტექნიკური უნარები და ა.შ.) ასევე შეიძლება მუდმივად შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული სიხშირით, ხოლო პრაქტიკული კომპეტენციები და გადამზადების საჭიროება უნდა შეფასდეს

სათანადო დროის ინტერვალით (სპირალური კურიკულუმის ნაწილში).

ზოგადად, სწავლის შედეგები ლოგიკურად არის განაწილებული, კარგად განსაზღვრულია ფაკულტეტის მიერ მიკრო დონეზე (ლექცია/პრაქტიკუმი) და შეესაბამება მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ უფრო დიდი „სამშენებლო ბლოკების“ (ანუ „მოდულების“) განმარტება გაცილებით ნაკლებად გასაგებია. მოდულის შიგთავსის შედგენის ფორმა არ არის ერთგვაროვანი და მიმდინარე მოდულური სტრუქტურა შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გარდამავალ მოდულად, რამეთუ საჭირო იქნება მნიშვნელოვანი, შემდგომი ცვლილებების განხორციელება, საგნების დაჯგუფება ან გადაჯგუფება და უფრო მარტივი, გასაგები და გამჭვირვალე სტრუქტურის უზრუნველყოფა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი (მაგრამ ეს მხოლოდ სადემონსტრაციოა; არის რამდენიმე მსგავსი შემთხვევა, სადაც ცვლილებები იქნება საჭირო):

- დანართ 2-ში („სილაბუსების“ ქვესაქალაქად), სადაც განთავსებულია არჩევითი, სავალდებულო არჩევითი და სავალდებულო მოდულები, ბევრი მოდული არ მიეკუთვნება არცერთ „საყრდენს“ (კლინიკური უნარები - პაციენტის მოვლა ქირურგიაში და თერაპიაში ან სამედიცინო ფიზიკა).
- ექსპერტთა ჯგუფს არ შეუნიშნავს რაიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობა განაწილებულ ECTS კრედიტებსა და სტუდენტთა რეალურ სამუშაო დატვირთვას შორის. მიუხედავად ამისა, არჩევითი საგნები აკლია პირველი წლის 1 სემესტრის, მე-2 წლის 1 და 2 სემესტრების და მე-4 წლის მე-2 სემესტრის სასწავლო გეგმებს. შესაბამისად, YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში საჭიროა როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველ სასწავლო წელს/სემესტრში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.
- ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული მოდულის კავშირები, უფრო კონკრეტულად, აღმავალი კავშირები ვერ დგინდება საკმარისი სიცხადით (GenEdu/IntroMed 1 სამედიცინო ქიმია 1).
- განმეორებითი ან ზედმეტი ნუმერაცია ართულებს სტრუქტურაში ზოგიერთი მოდულის პოზიციების ნათლად განსაზღვრას (მოდული 7 არის სამოქალაქო თავდაცვისა და პრაქტიკული უნარების მოდული 2 - და ჰომეოსტაზი სტრუქტურულიდან ფუნქციამდე ასევე არის მოდული 7 სტრუქტურულ მედიცინა 4-ში და ფუნქციური მედიცინა 1-ში); მოდული 1 ეძღვნება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს 1 (სომხური ცივილიზაციის ისტორია და მედიცინის ისტორია), მაგრამ ასევე არსებობს მოდული 1 სტრუქტურულ მედიცინაში 1 (კუნთოვანი სისტემა 1).
- ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთდაკავშირებული ან ლოგიკურად დაკავშირებული საგანმანათლებლო ერთეულები დაჯგუფებულია ცალკე კონკრეტული მოდულების ქვეშ, ისინი როგორც წესი აღნიშნულია "ა" და "ბ" ასოებით - როგორც მეთანობა ან ქირურგიის შემთხვევაში (მაგ., მოდული 38 ეძღვნება მეთანობას და გინეკოლოგია 3ა-ს, ხოლო 38-ე მოდულის ცალკე სილაბუსი აღწერს მეთანობას და გინეკოლოგია 3ბ-ს).

- თემებისა და საგნების მცირე მოდულებად ხელოვნურმა და გარკვეულწილად იძულებითმა ფრაგმენტაციამ გამოიწვია სტრუქტურაში გამჭვირვალობის ნაკლებობა და ეს ართულებს გარკვეულ საგნებზე აგებული მოდულის დასრულებას – მაგალითად მოდული 28-ის (ინტერნატიული მედიცინა IIბ, ძირითადად ენდოკრინოლოგია, ღვიძლი და პანკრეასი) წინაპირობებია შემდეგი მოდულები: 4,7,9,10,12,13,14,16ა და 16ბ,17,19,20,21,23,25 და 28. მოთხოვნების ამ ძალიან ფართო კომპლექტმა შეიძლება გაართულოს მოდულზე დაშვება.
- ზოგიერთ შემთხვევაში, საგნის ელემენტების მოდულური ინტეგრაცია და იძულებითი კავშირი უნდა გადაიხედოს. მაგალითად, ტრავმატოლოგიის შერწყმა კარდიოქირურგიასთან (მოდული 29 - ქირურგია IIა- კერძო ქირურგია და ტრავმატოლოგია) ან სამხედრო მედიცინა რეაბილიტაციასთან (მოდულში 42, ცეცხლსასროლი ჭრილობები, კრამ-სინდრომი, საბრძოლო სიტუაციებში ქირურგიული და თერაპიული დახმარება შერწყმულია გულ-სისხლძარღვთა, ნეირო ან კუნთოვანი რეაბილიტაციასთან). რამდენიმე კლინიკურ მოდულში (როგორც ამ შემთხვევაში) თემებსა და საკითხებს შორის კავშირი არც თუ ისე მჭიდროა და ახალი დიზაინი გამართლებულია.
- უსდ-ის მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და რეგულაციების პროცედურების შესახებ მიღებული ინფორმაცია (მაგალითად OSCE-ს დროს) ბუნდოვანია. უსდ-მ იცის, რომ სწავლის შედეგები და სტუდენტების შეფასების შედეგები სენსიტიური მონაცემებია და კონფიდენციალურად განიხილება. თუმცა სასურველია, გადაიხედოს დაწესებულებაში დანერგილი მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ მოდულებისა და კურსების ურთიერთობა არ არის ისეთი მკაფიო, როგორც ეს შეიძლება იყოს ინტეგრაციული მექანიზმების კუთხით, სხვადასხვა ჯგუფებსა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს, ყველამ დეტალურად იცოდა, მიმდინარე სასწავლო პროცესებში, მათი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ. აქედან გამომდინარე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს პროგრამის მოდერნიზაცია და მოდულაცია, დააფუძნოს ეს თავის ძალისხმევას, რომელიც მომართულია ერთსაფეხურიანი, სპირალური და ინტეგრირებული სასწავლო გამოცდილების დანერგვისკენ. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერს აქტივობებსა და პასუხისმგებლობებს შესაბამისი ვადებით და იმ მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ მიმართულებით.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კვლევითი უნარების ჩამოყალიბება უზრუნველყოფილია შესაბამისი კურსების მეშვეობით, კვლევის უნარების ღერძის გასწვრივ, რომელიც სპირალურად არის ასახული სასწავლო გეგმაში (კრედიტის მოცულობა არის 10 ECTS-ს). სტუდენტები ამ კურსებს იწყებენ სწავლის პირველ წელს (იწყება აკადემიური სომხური და აკადემიური ინგლისური კურსებით), მეორე კურსზე აგრძელებენ ფუნდამენტური კვლევის საფუძვლებით, ბიოსტატისტიკის და ბიოეთიკის კურსებით. შემდგომ ეტაპებამდე კვლევის

უნარების განვითარებას მხარს უჭერს ბიოსამედიცინო (მაგ. ფარმაკოლოგია მე-3 კურსზე) და პრევენციული მედიცინის კურსები (მე-4 კურსზე), ჯანდაცვის სამართალი (მე-5 კურსზე) და კლინიკური ფარმაკოლოგიის კურსები (მე-6 კურსზე) და რამდენიმე არჩევითი კურსი, რომლებიც განაწილებულია 6 სასწავლო წელზე. პროგრამა მიზნად ისახავს ძლიერი კვლევითი კომპონენტის განვითარებას, ამიტომ ახალ სამეცნიერო კურსს "კვლევის საფუძვლებს" უნდა დაემატოს და გაძლიერდეს სხვა თემატურად თავსებადი ან დაკავშირებული კურსებით, როგორცაა "მოწინავე კვლევითი უნარები" (Advanced Research Skills) (ახლა არჩევითია, მე-2 კურსის, მე-2 სემესტრში. კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილის გადატანა შეიძლება არჩევით, კვლევაზე ორიენტირებულ კურსებში, „სადაც სტუდენტები ჩართული არიან ბიოსამედიცინო კვლევებში (კლინიკური მედიცინა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა)“. ანალოგიურად, რეკომენდებულია უნარების სასწავლო გეგმის სპირალური მახასიათებლის გაძლიერება არსებული კურსებით (როგორცაა პაციენტის უსაფრთხოება, რომელიც ახლა არჩევითი კურსია, მე-3 კურსის პირველ სემესტრში).

კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა, შექმნან საკუთარი კვლევითი პროექტი, დაწერონ აკადემიური ნაშრომი და განვიითარონ პრეზენტაციის უნარები. ეს არის კარგი პრაქტიკა, რომელიც უნდა გაგრძელდეს და გაუმჯობესდეს, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით, გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება, წარმოდგენილი მასალებისთვის ფორმისა და შინაარსის ერთიანი სტანდარტების განსაზღვრა.

ახალი COBRAIN ცენტრი შესანიშნავ შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტების შერჩეულ ჯგუფს, მიიღონ შესაბამისი ცოდნა და უნარები ნეირომეცნიერებებში. თუმცა, ეს შესაძლებლობა არ არის ხელმისაწვდომი სტუდენტების უფრო დიდი რაოდენობისთვის, ასე რომ, ცალკეული კვლევითი ჯგუფებისა და ინსტიტუტების ძირითადი კვლევითი საქმიანობა, ისევე როგორც უნივერსიტეტთან დაკავშირებული კლინიკების მთარგმნელობითი კვლევითი საქმიანობა საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას და განვითარებას.

ქირურგია და ქირურგიასთან დაკავშირებული საგნები პრაქტიკული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, იწყება ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კურსებით, შემდეგ საგნები და თემები დაჯგუფებულია ქირურგიული დეპარტამენტების 1-3-4-ის პასუხისმგებლობებში. მოდულური სტრუქტურა ასევე საშუალებას აძლევს დაწესებულებას მოერგოს განათლების ცვალებად მოთხოვნებსა და ტენდენციებს. დღეს, მედიცინისა და ტექნოლოგიების სწრაფი წინსვლა ნიშნავს, რომ არსებობს სახელმძღვანელოებით მიღებული ცოდნის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც იცვლება დროის მოკლე მონაკვეთში (მაგ., წყლულის ქირურგია და მისი კვლევა უკვალოდ გაქრა და იგივეა შეიძლება მოხდეს არაერთი ტრადიციული ქირურგიული ტექნიკის შემთხვევაში, რომელიც დღესაც არსებობს). სამედიცინო კურიკულუმის დაბალანსება, რომელიც შესაძლოა ქირურგიულად დომინანტური იყოს, მოითხოვს სტრატეგიულ და ერთობლივ ძალისხმევას ფაკულტეტებს, ადმინისტრატორებსა და სტუდენტებს შორის. ამ სქემაში ასევე შემოთავაზებულია მზარდი ხვედრითი წილი ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიისა და კრიტიკული თერაპიისთვის (ამჟამად 2 კვირა მეექვსეზე კურსზე). მოდულის ინტენსიური თერაპიის ნაწილი შეიძლება გაძლიერდეს უნარ-ჩვევების შექმნის რამდენიმე ტექნიკით უნარების ცენტრში და კათედრის კლინიკურ ბაზებზე პაციენტებთან

მუშაობისას.

სხვადასხვა „ქირურგიული“ განათლებისა და ტრენინგის კურსების ინტეგრაცია, როგორცაა ანატომია, პათოლოგია, კლინიკური უნარები და ქირურგიული ტექნიკა, უნდა გაგრძელდეს კოორდინირებულად, იმავე დონეზე (ჰორიზონტალურად) და სტუდენტის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე (ვერტიკალური და სპირალური). სასწავლო კურსების მასშტაბით, შინაარსის შესაბამისობაში მოყვანამ და კოორდინირებამ, მინიმუმამდე შეიძლება შეამციროს ზედმეტი სასწავლო მასალები და კონცეფციები. ეს დაზოგავს დროსა და რესურსებს როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რაც შექმნის უფრო ჰოლისტიურ და ურთიერთდაკავშირებულ სასწავლო გეგმას. ამ სტრატეგიების განხორციელებით და სასწავლო გეგმის მუდმივი ხელახალი შეფასებით, შეიძლება შეიქმნას სრულყოფილი სამედიცინო განათლების პროგრამა, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამედიცინო პრაქტიკის სრული სპექტრისთვის.

საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერს აქტივობებსა და პასუხისმგებლობებს შესაბამისი ვადებით და იმ მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ მიმართულებით. ჯერ უნდა განისაზღვროს მოდულების შინაარსი, განისაზღვროს მოდულებს შორის თემატური და ლოგიკური თანხვედრა და მოდულებზე პასუხისმგებელი სასწავლო ერთეულების იდენტიფიცირება. ამ მიმართულებით, წახალისეთ თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტებისა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი ახალი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც კლინიკური მედიცინის საგნებში მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასება
- დანართები
- გასაუბრებების შედეგები
- YSMU დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა დანართ 2-ში.

რეკომენდაციები:

უცხოელი სტუდენტებისთვის საჭირო იქნება სომხური ენის დამატებით არჩევით სასწავლო კურსებზე მეტი აქცენტი.

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი ცვლილებების ბუნება.

უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის მოდულური სტრუქტურა, განვითარდეს ინტეგრაციის დონეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები), ყოვლისმომცველი, შეთანხმებული საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე.

რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გადახედეთ დაწესებულების მიერ დადგენილ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რათა უზრუნველყოთ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვაზე.

წახალისეთ თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტებისა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს და კლინიკური მედიცინის საგნებს.

პროგრამის სტრუქტურა შეიძლება გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს. ამის ჩვენება შესაძლებელია უსდ-ს ვებგვერდზეც.

ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ინგლისური სახელები ნაკლებად გასაგებია, მაგალითად - კერძო ქირურგია (Private Surgery) შეიძლება იყოს "ზოგადი ქირურგია" (General Surgery) და ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (Topographical Anatomy and Operative Surgery) შეიძლება იყოს "ქირურგიული ანატომია და ტექნიკა" ("Surgical Anatomy and Techniques").

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასებისა და გარე ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ზოგადი მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, აკადემიურ-მეთოდურ საკითხთა საბჭომ და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტეს გადასულიყვნენ დიპლომირებული მედიკოსის სრულად მოდულარიზებულ პროგრამაზე 2023 წლის აპრილში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს მოდულებს, ცალკეული აკადემიური კურსების/საგნების ნაცვლად (გარდა პირველი სემესტრის სამი საგნისა: სამედიცინო ფიზიკა, სამედიცინო ქიმია 1 და სამედიცინო ბიოლოგია), და არჩევით საგნებს. მოდულებისა და კურსების სტრუქტურა ეფუძნება „აკადემიური პროგრამების სომხეთის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის სახელმძღვანელოს“ და საუნივერსიტეტო კურსის აღწერილობის ინსტიტუციურ გზამკვლევს. სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

მოდულის/კურსის დასახელება და ტიპი, ECTS-ის რაოდენობა, აკადემიური საათები და განაწილება, მოდულის ავტორები და განმახორციელებლები, მოდულის მიზანი, წინაპირობები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, მოდულის შინაარსი, შეფასების სისტემა, გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო ლიტერატურა (სავალდებულო და დამხმარე), სწავლის შედეგები, პროგრამის სწავლის შედეგები, დარგობრივი კომპეტენციები, ლექციების/პრაქტიკუმების თემათა სია. სილაბუსები მთელი კურიკულუმის მასშტაბით ერთნაირ ფორმატშია წარმოდგენილი.

მოდულების შინაარსი უზრუნველყოფს მოდულებით განსაზღვრული სასურველი სწავლის შედეგების მიღწევას; მოდულებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგებს. მოდულების შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიერ დადგენილ სწავლის შედეგებს.

ყველა სილაბუსში შედის საჭირო (სავალდებულო) ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება სასწავლო სფეროს. სილაბუსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად.

მოდულები ორგანიზებულია სხვადასხვა ფორმატში მოდულირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში. ზოგიერთ შემთხვევაში, მოდული ასახავს ერთ საგანს (მოდული 33, 34, 38), ხოლო სხვა შემთხვევაში მოდული შედგება ორი სილაბუსისგან, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა საგანს (მოდული 28):

სასწავლო გეგმა	სილაბუსი
მოდული 28 - შინაგანი მედიცინა II ა ბ გასტროენტეროლოგია ენდოკრინოლოგია	მოდული 28 - შინაგანი დაავადებები II ა (კლინიკური იმუნოლოგია და ალერგია, რევმატოლოგია, დერმატოლოგია)

კლინიკური იმუნოლოგია და
ალერგია რევმატოლოგია
დერმატოლოგია

მოდული 28 - შინაგანი
მედიცინა II ბ
(გასტროენტეროლოგია
და ენდოკრინოლოგია)

ზოგიერთ შემთხვევაში, მოდულური ინტეგრაცია აიძულებს საგნების დაკავშირებას, თუმცა მათი ინტეგრაციის საჭიროება რეალურად არ არის (მაგალითად, მოდული 29, 42). ზოგიერთ შემთხვევაში, მოთხოვნების ძალიან ფართო ნაკრები (მაგალითად, მოდული 28) ართულებს მოდულზე მიღებას. სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია აკადემიური საათებისა და მათი განაწილების შესახებ. მიუხედავად ამისა, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა. მაგალითად, ზოგიერთი მოდული (როგორცაა მოდული 21 - შინაგანი მედიცინა I ა, მოდული 24 - მენოპა და გინეკოლოგია 1 ა, ა და მოდული 30 - თავისა და კისრის დაავადებები) არ უთმობს დროს თვითშესწავლას, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები (LOs) მოიცავს ცოდნას, რომელიც, სილაბუსის მიხედვით, შეფასდება დახურული ტესტური ტიპის კითხვებით (MCQs).

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სომხური ენის (5 ECTS) და აკადემიური სომხურის (1.5 ECTS) სწავლებას. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებების დროს თვალსაჩინო იყო, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი სომხურ ენაზე პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისათვის.

სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს სახელმძღვანელოებსა და ლექტორების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგია რეცენზირებისა და აკადემიური ლიტერატურის გამოცემისთვის. ყოველ სასწავლო წელს აკადემიურ-მეთოდური საბჭო და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ამტკიცებენ ახალ სახელმძღვანელოებს და განახლებულ სახელმძღვანელოებს.

ინგლისურ ენაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს განახლებული სასწავლო მასალა, პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს სახელმძღვანელოებს. სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია თუმცა, გასაუბრებების დროს სწავლის პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს სტანდარტიზირებული სახელმძღვანელოს უპირატესობა განახლებული სახელმძღვანელოების ნაცვლად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- დანართები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

უნდა გადაიხედოს სომხური ენის სწავლება და სწავლა, მათ შორის გაიზარდოს გამოყოფილი საათები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების საკმაო კომპეტენციას პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. ასევე გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ერთმანეთთან დაკავშირება, თემებსა და საგნებს შორის კავშირი,

წინაპირობები); მოდულების სტრუქტურა (საგნების მიზმა, თემებსა და საკითხებს შორის კავშირი, წინაპირობები).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დახვეწეთ მოდულის განმარტება.

გადახედეთ აკადემიური საათების განაწილებას.

სავალდებულო ლიტერატურაში გამოიყენეთ საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს უზრუნველყოს შესაბამისი

განათლების და უნარების მქონე პირების ჩარიცხვა მედიცინის პროგრამაზე. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე უცხო ეროვნების სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები. დეტალურად არის მოცემული ისტორიული კონტექსტი, მიმდინარე ჩარიცხვის პროცედურა, გამოცდის პროცესი და მხარდამჭერი ერთეულები. პროცედურები მკაცრად ეყრდნობა შიდა პოლიტიკას, ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო შეთანხმებებს.

ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამაზე ჩარიცხვის დაგეგმვა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას (მიზანი 1 და მიზანი 3). დასკვნები კეთდება შიდა და გარე მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, ინსტიტუციის რესურსების, მიღების მოცულობის, პროგრამის განვითარების სტრატეგიის, ფინანსური პოლიტიკის და კარგად ჩამოყალიბებული მენეჯმენტის საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტი მორგებულია და პასუხობს მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებს, სამედიცინო განათლებაში არსებულ გლობალურ ტენდენციებს, კაპიტალბრუნვას და უნივერსიტეტის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანურ რესურსებში გათვალისწინებულია ინგლისური და რუსული ენების მცოდნე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტს გააჩნია უცხოელ სტუდენტებთან მუშაობის ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც იწყება 1957 წლიდან. მნიშვნელოვანია ისტორიული კონტექსტი, ვინაიდან ის ასახავს ინსტიტუციის განვითარებას და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობას. 1987 წლისათვის, პროგრამაზე, რომელიც ხორციელდებოდა რუსულ ენაზე დაიწყო უცხო ეროვნების სტუდენტების ჩარიცხვა, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე 2011 წლიდან.

მიღებული აპლიკაციების განაწილება მიუთითებს ცნობადობის მრავალფეროვნებაზე: 50 % სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო ან უნივერსიტეტი.

40% კურსდამთავრებულთა გაერთიანებებიდან და სომეხი ექიმების ქსელებიდან ისეთი ქვეყნებიდან როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, ლიბანი, სირია, რუსეთის ფედერაცია, შრილანკა და დიდი ბრიტანეთი.

10% სახელმწიფოთაშორისი და უწყებათაშორისი შეთანხმებებიდან. უნივერსიტეტი ატარებს ინგლისურენოვანი საერთაშორისო სტუდენტების გამოცდებს. პარალელურ რეჟიმში, ჩარიცხვისთვის განსაზღვრულ დოკუმენტაციას ამოწმებს სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. ჩარიცხვის კრიტერიუმები, ეფუძნება მრავალ ფუნდამენტურ დოკუმენტს, მათ შორის სომხეთის რესპუბლიკის კანონს განათლების შესახებ, უმაღლესი და დიპლომისშემდგომი პროფესიული განათლების შესახებ კანონს და ა.შ.

განსაკუთრებით კი "უცხო ეროვნების მქონე პირების ჩარიცხვის პროცედურებს". მიღების კრიტერიუმები შემდგომ გამარტივებულია საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მარეგულირებელ დოკუმენტში დადასტურების მიზნით, ჰააგის აპოსტილის კონვენციის ნოთხოვნების შესაბამისად უცხოური საჯარო დოკუმენტების ლეგალიზების მიზნით, პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის მქონე საერთაშორისო პირების დოკუმენტაცია საჭიროებს დამოწმებას.

პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის მქონე საერთაშორისო პირები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია.

ინგლისური ენის ცოდნა მოწმდება იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის საშუალო ზოგადი განათლების პროგრამის ქულა არ აღემატება 65%-ს. ინგლისური ენის მოთხოვნილი დონე არის A2 ან უფრო მაღალი. როგორც მოთხოვნილია, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ცოდნა მოწმდება კოლექტიურად. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიღების პროცესში, მაგალითად, როგორც შეთანხმება იორდანისის ჰაშემიტურ სამეფოსთან, რაც შეადგენს ჩარიცხული სტუდენტების 8%-ს. საშუალოდ აპლიკანტების 78% ჩაირიცხა მედიცინის პროგრამაზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ირიცხება საშუალოდ 213 საერთაშორისო სტუდენტი, წლიდან წლამდე 3-5% ზრდის მაჩვენებლით. 2022-2023 სასწავლო წელს მედიცინის პროგრამაზე ჩაირიცხა 991 სტუდენტი.

"მიყვები მომავალს" ინიციატივა უცხოელი სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს ფართო კარიერულ მიმართულებას ინგლისურ ენაზე. ის აფასებს პოტენციური კანდიდატების ფსიქოლოგიურ და პროფესიულ უნარებს და უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას, იმის გათვალისწინებით, რომ გამოცდები შეესაბამება სომხური სკოლის პროგრამას.

მიღების სისტემა რელევანტურია და ითვალისწინებს სამედიცინო განათლების გლობალურ ტენდენციებს, უნივერსიტეტის რესურსების მოცულობას და ინსტიტუციის სტრატეგიულ გეგმას. სისტემა ასახავს გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას, უცხო ეროვნების მქონე პირების მიღების შესახებ დეტალებს, პროცედურებს, მოთხოვნილ დოკუმენტებს, გამოცდის ფორმატს, სტანდარტებს და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სამართლიანობა გამოიხატება იმაში, რომ სისტემა აპლიკანტს აძლევს საშუალებას აირჩიოს საგამოცდო საგანი და ითვალისწინებს დებულებებს ისეთი სტუდენტის მიღების მიზნით, რომელიც შესაძლებელია ვერ აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს. მიღების სისტემა შემუშავებულია, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო პირების ჩართულობა, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის შესაბამისობა და სიცხადე, რაც მათ დაეხმარა გაეკეთებინათ განაცხადი და მიეღოთ მონაწილეობა მიღების პროცესში, რომელიც განხორციელდა შეუფერხებლად და სამართლიანად. შეჯამების სახით, უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა შეესაბამება სტანდარტს და მიღების პროცედურა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, შესაბამისობას და სამართლიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2021-2025 წწ.

უნივერსიტეტში უცხო ეროვნების მქონე პირების მიღების პროცედურები, მედიცინის პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში.

ყოველწლიურად ჩარიცხული სტუდენტების და სტუდენტების ჩარიცხვის ზრდის შესახებ პროცენტული მაჩვენებლების მონაცემები და სტატისტიკის შესახებ წრმოდგენილი დოკუმენტაცია.

ვებ-გვერდი.

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია მოთხოვნების და შეფასების ძლიერი სისტემა, რაც წარმოადგენს უწყვეტი პროფესიული განვითარების და სტუდენტებისათვის რეგულარულ რეჟიმში სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობას. პროცესი გამჭვირვალეა და ეფუძნება ერთიან პრინციპებს. პრაქტიკული უნარები ისწავლება უნივერსიტეტის სიმულაციის ცენტრში (რაც უზრუნველყოფს მრავალ შესაძლებლობას სტუდენტებისათვის), უნივერსიტეტის კლინიკებში და სხვადასხვა აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში. ადრეულ სემესტრებში, სანამ სტუდენტი გადაინაცვლებს კლინიკურ პრაქტიკაზე, კლინიკური უნარების ცენტრში ტექნიკური უნარების პრაქტიკული მეცადინეობა ხორციელდება სიმულატორებზე და მანეკენებზე, ხოლო კლინიკური უნარების ხანგრძლივი განვითარება, ეთიკური, საკომუნიკაციო და პროფესიული მიდგომები ისწავლება კლინიკური

მედიცინის მოდულებში (მე-5 სვეტი). აღნიშნული მიდგომები YMSU-ში ერთიანად მნიშვნელოვანია მედიცინის პროგრამის საერთო ხარისხის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სიმულაციური უნარების სწავლების განხორციელების დეტალებს, გამოიყო სათანადო სივრცე და განისაზღვრა ყველა საჭირო აღჭურვილობა და მასალა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ და დახვეწონ მრავალი ტექნიკური და კლინიკური უნარი, დაიწყონ ძირითადი პროცედურებით, როგორც არის წვეთოვანის ინექცია ან კათეტერის შეყვანა და ჭრილობის დამუშავება, ხოლო შემდგომ გადავიდნენ უფრო რთულ ტექნიკაზე. ყველა სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გამოიმუშაოს შესაბამისი, პრაქტიკული უნარებისათვის მოთხოვნილი რაოდენობა და ასევე დაინტერესებულ და მაღალი მოტივაციის მქონე სტუდენტებს მიეწოდებათ დამატებითი შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა.

ექსპერტები აღნიშნავენ რომ სიმულაციური სწავლება უნარების ცენტრში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკაში განახორციელოს და გამოსცადოს კლინიკური შემთხვევა, რომელიც რეალისტურად იმეორებს რეალური პაციენტის მოვლის სიტუაციას. მიუხედავად ამისა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ მუშობას სტანდარტიზებული სიმულაციური სცენარების დროს (სტანდარტიზებული პაციენტის მონაწილეობით).

2022- 2023 წლებში უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული "მიქაელიანის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის" შენობაში, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების ჩატარების მიზნით განახლდა და აღიჭურვა 25 სალექციო ოთახი. მთლიანობაში, შესაძლებლობები და ტექნიკური წინაპირობები აღემატება მოსალოდნელ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არის საშუალება სწავლების ტექნოლოგიის და სწავლის მეთოდების გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კარგი საფუძველი, სამომავლოდ შესაძლებელია განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული ობიექტები. პროცედურული უნარების განვითარების მიმართულება ყოველთვის დამოკიდებული იქნება ადგილობრივ ინტერესებზე და ტრადიციებზე, თუმცა ძირითადად უკავშირდება შინაგანი მედიცინის და ქირურგიის ქვესპეციალიზაციებს, ანესთეზიოლოგია და ინტენსიურ მოვლას, ვიზუალიზირებულ დიაგნოსტიკას, გადაუდებელ მედიცინას, ზოგად მედიცინას/საოჯახო მედიცინას, მეანობას და გინეკოლოგიას, პედიატრიას და ა.შ. აქვე წარმოდგენილია ორი მაგალითი/რჩევა, რომელიც გულისხმობს განხორციელების გზებს: 1. უფრო მეტ კოორდინირებას საჭიროებს ქირურგიის საფუძვლების და მაღალი დონის ქირურგიული ტექნიკების, პროცედურების და პრაქტიკის სწავლება, რომელიც უნდა დაიწყოს ძირითადი საგნებით (ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია) და შემდგომ გაგრძელდეს ზოგადი ქირურგიის ტექნიკებით და ქვედისციპლინებით უნარების ცენტრში, მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სამუშაო სადგურებით, მარტივი სიმულაციური მომზადებით ხელით შესასრულებელი მანიპულაციების დასახვეწად, კურსდამთავრებულების კოგნიტიური და

ტექნიკური უნარებით და 2. სამედიცინო ვიზუალიზაციის სიმულაცია სადიაგნოსტიკო ულტრასონოგრაფიის გამოყენებით (ანატომიურ ფანტომებზე და ექსპერიმენტული პროტოკოლი), რაც იქნება ძალიან სასარგებლო.

დამატებით, პრაქტიკას პაციენტის საწოლის გვერდით აქვს მთავარი როლი მედიცინის პროგრამაში. 2023 წლიდან პროგრამაში გათვალისწინებულია 12 თვიანი კლინიკური როტაცია/ინტეგრირებული პრაქტიკა. აღნიშნული პერიოდის დაწყებამდე სტუდენტები მიიღებენ სპეციალურ ჟურნალებს, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პრაქტიკის კომპეტენციები და მოსალოდნელი სწავლის შედეგები. სასწავლო პერიოდის დასრულებისას ხელმძღვანელი ჟურნალში აღრიცხავს სტუდენტების მიღწევებს. როგორც უნარების შეფასება სიმულაციის ცენტრში, ასევე პრაქტიკული უნარების და კომპეტენციის შეფასება კლინიკებში ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული საგამოცდო ფურცლის მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს უნივერსიტეტის უპირატესობას, რაც უკავშირდება საკუთარი კლინიკის ფლობას, სადაც სტუდენტებს აქვთ საკმარისი კლინიკური წვდომა ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებთან პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად და ტექნიკური, კლინიკური და საკომუნიკაციო უნარების განსავითარებლად. ადგილზე ვიზიტის დროს სამედიცინო დაწესებულებების კლინიკური გარემო (საავადმყოფო ოთახები, სივრცეები მცირე ჯგუფების მეცადინეობისათვის, ლექციების და სემინარებისათვის) და აფილირებული პერსონალის მზაობა ნათლად იყო დემონსტრირებული. დამატებით, კლინიკის ხელმძღვანელებმა და სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი მზაობა მიიღონ და უხელმძღვანელონ მედიცინის პროგრამის უცხოელ სტუდენტებს. მათ ასევე წარმოაჩინეს საშუალებები, რომლითაც შეძლებენ უზრუნველყონ მაღალი დონის პრაქტიკული განათლება.

თვითშეფასების მიხედვით კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს და სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარება საფუძვლიანად არის აღწერილი უნივერსიტეტის 2018-23/38 მეცნიერების განვითარების კონცეფციაში. 2019-2020 წლიდან, სწავლების მეორე წელს პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია არჩევითი საგანი "კვლევის საფუძვლები". კურსი სტუდენტს აცნობს კვლევით კონცეფციას, მეთოდოლოგიას, მეთოდებს, ლიტერატურის გამოყენებას და ინფორმაციის მოძიების უნარებს, სამეცნიერო ნაწერის კითხვას და ანალიზს და სამედიცინო გზმკვლევებს, დასკვნის წერას და პრეზენტაციას. კურსის დასრულებისას სტუდენტს მოეთხოვება წარმატებით წარადგინოს საბოლოო პროექტი. თვითშეფასების მიხედვით, სასწავლო გეგმაში განხორციელებულ სხვა ცვლილებებთან ერთად, შეიცვალა სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების შინაარსი და ხანგრძლივობა ფარმაკოლოგიის, ჰიგიენის და ეკოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურსების ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების ხარისხი და რეზიუმეები განსხვავდებოდა, ნაშრომების ფორმები და შინაარსი არ იყო სტანდარტიზირებული, შესაბამისად შეუძლებელი იყო მათი შედარებითი ღირებულების განსაზღვრა.

კვლევის საფუძვლების კურში გათვალისწინებულია საპილოტე მენტორის ინიციატივა, სადაც კურსდამთავრებულები სტუდენტებს გაუწევენ მენტორობას და განვიტარებენ თავიანთ კვლევით უნარებს. თვითშეფასების თანხმად, ჩვიდმეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ინიციატივაში 2020-2022 წლებში.

მედიცინის პროგრამის სტუდენტები ნებაყოფლობითი ინიციატივის ფარგლებში მონაწილეობდნენ "COBRAIN" ტვინის ფუნდამენტური კვლევის სამეცნიერო - საგანმანათლებლო ცენტრის კვლევით აქტივობებში. აქ სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშაონ თეორიული და პრაქტიკული უნარები მაღალი დონის ლაბორატორიული მეცადინეობების განხორციელების მიზნით. ამისათვის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ინსტრუქციებით და აღჭურვილობით. თუმცა სასარგებლო იქნება თუ სტუდენტების დიდი ჯგუფები პირდაპირ იქნებიან ჩართულები პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევაში და ისწავლიან ლაბორატორიულ - ექსპერიმენტულ მეთოდოლოგიებს და შეიძენენ ექსპერიმენტულ კვლევით უნარებს ბიომედიცინაში. ასეთი მომზადება შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო გეგმაში მაგალითად არჩევით კურსში "სტუდენტის სამეცნიერო მუშაობა".

ბოლო ხუთი წლის მანძილზე უნივერსიტეტის შვიდმა სტუდენტმა გამოაქვეყნა რვა კვლევითი ნაშრომი და თორმეტი თემა საერთაშორისო ჟურნალებში. დამატებით, სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოება ცდილობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათ ორგანიზება გაუკეთეს და ჩაატარეს 39 კონფერენცია და გამოფენა, ასევე 4 კვლევითი ინიციატივა/პროექტი.

შეჯამების მიზნით, აღსანიშნავი არის, რომ პროგრამა მისი ახლად ჩამოყალიბებული ელემენტებით უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში, მაგრამ მომდევნო წლებში აუცილებელი იქნება პროგრამის გადახედვა (სასწავლო გეგმა, სილაბუსები და შეფასების მეთოდები), ნათლად უნდა განისაზღვროს და გაკეთდეს უნარების/პრაქტიკის სწავლის შედეგების/კვლევითი კომპეტენციის დონეების ჩამონათვალი სასწავლო გეგმაში. ასევე გამჭვირვალედ უნდა განისაზღვროს კომპეტენციების და შეფასების დონეები სამივე დონეზე კურსების დაწყებამდე, შუა სემესტრულად და დასრულებისას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები,
- დანართები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამა და ნათლად განისაზღვროს და გაიწეროს სასწავლო გეგმაში უნარების/კვლევითი კომპეტენციების

ჩამონათვალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	მეტწილად შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	ნაწილობრ ივ შესაბამის ობაშია მოთხოვნე ბთან	არ არის შესაბამის ობაში მოთხოვნე ბთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმე დებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების/სწავლის სტრატეგიის პოლიტიკა, ის ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა სახის სწავლის მეთოდზე, მათ შორის, კარგი ხარისხის სიმულატორების გამოყენებით უნარების ლაბორატორიულ სწავლებაზე, სპეციფიკური დავალებების შესასრულებლად, სტუდენტების რაოდენობაზე მორგებულ მცირე ჯგუფებში სწავლებაზე, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის კურსების აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით სწავლა-სწავლების პროცესის ობიექტურ ანალიზზე. ბიოსამედიცინო მეცნიერებები სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია თეორიულ, პრეკლინიკურ და კლინიკურ მოდულებში. თეორიული ნაწილის მეშვეობით, სტუდენტმა შეიძლება მიიღოს ცოდნა, რომელიც ეფუძნება როგორც მათ სამეცნიერო ასევე კლინიკურ მუშაობას.

პრეკლინიკური კურსები ისწავლება უნარების ცენტრში, რომლებიც სტუდენტს უვითარებენ ტექნიკურ და კლინიკურ უნარებს, რაც უშუალოდ არის საჭირო კლინიკურ გარემოში, მაშინ როდესაც სტუდენტები ჯერ არ გადიან პრაქტიკას პაციენტის საწოლთან. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ

კლინიკური კურსების (მაგ. ქირურგია) სტუდენტები იყენებენ აღნიშნულ უნარებს პრაქტიკაში და შეუძლიათ მათი განხორციელება რეალურ სიტუაციაში პაციენტის საწოლთან.

თვითშეფასების თანახმად უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს სწავლების მეთოდოლოგიები და სასწავლო აქტივობები და დანერგოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები როგორც აკადემიაში, ასევე კვლევაში. პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში და თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია პროგრამის მიზნების შესაბამისი მრავალი სწავლის მეთოდი: ტრადიციული მეთოდით სწავლების პარალელურად (მაგ: ლექცია, მცირე ჯგუფების მეცადინეობა, პრაქტიკა/ვორქშოფები, ლაბორატორიული კურსები, პრეზენტაციები, ყველა კლინიკურ კურსში პაციენტის საწოლთან სწავლება) გამოიყენება თანამედროვე ტექნიკები, როგორც არის 3-D ანატომიური მაგიდა, სტუდენტის ჩანაწერების დღიურები, ფილმების და ვიდეოების ჩვენება და ყურება, ჟურნალის კლუბი, ჯგუფური სწავლება, ინტერაქციული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ ლექტორები კარგად იცნობენ ტრადიციულ და თანამედროვე სწავლის მეთოდებს, მაგრამ სასურველია თანამედროვე მეთოდების უფრო აქტიურად გამოყენება და აქტიური სწავლის ტექნიკების გამოყენების წახალისება, როგორც არის პრობლემის გადაჭრა, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები, რომელიც დაეხმარება სტუდენტს უფრო ეფექტურად გამოიყენოს მასალები.

კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალური კურსები (კვლევის საფუძვლები და დამხმარე არჩევითი კურსები), რომლებიც სტუდენტს განუვითარებს ანაკლიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას და შემოქმედებითობას. თითოეულ კურსში გათვალისწინებულია სწავლის შედეგები, სწავლა/სწავლების/შეფასების მეთოდები, ლიტერატურის მონაცემები (ძირითადი სახელმძღვანელოები, ინფორმაცია დამხმარე წყაროების შესახებ, ინსტრუქციულ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, აუდიო/ვიზუალური მასალა), და შესრულების ვალიდური ინდიკატორები. უნივერსიტეტი მიზანმიმართულია განავითაროს სამეცნიერო კვლევა, თუმცა უფრო მეტად მომგებიანი იქნება სამომავლოდ გაძლიერდეს სტუდენტების სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი მუშაობის გაძლიერება (მაგ. არჩევითი კურსების შეთავაზება მათთვის, ვინც დეპარტამენტში/კლინიკებში მონაწილეობს სტუდენტურ-სამეცნიერო წრეში).

შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა/სწავლების მეთოდები სრულიად შეესაბამება განათლების დონეს, კურსების შინაარსს და თავისებურებებს და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო სისტემა მხარდაჭერილია კარგად განვითარებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით. თვითშეფასების თანახმად საჭიროების შემთხვევაში რეგულარულად ხორციელდება კურსებში წარმოდგენილი სწავლა/სწავლების მეთოდების გადახედვა და გაუმჯობესება, დაგეგმე, განახორციელე, შეისწავლე, იმოქმედე პრინციპის მიხედვით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების სტრატეგიები მორგებულია

პროგრამაში შემუშავებულ სხვადასხვა სახის სწავლის შედეგზე. პროგრამაში განსაზღვრულია სწავლა, სწავლება და შეფასება. კურსების თავისებურებები მორგებულია სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე. პროგრამა იყენებს მრავალ შესაფერის სწავლება-სწავლის მეთოდს და შესაბამის შეფასების ტექნიკას როგორც არის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა იმისათვის, რომ შეაფასოს სტუდენტების პრეკლინიკური აკადემიური მიღწევები, თუმცა ადრეული გაფრთხილების სახით კლინიკურ გარემოში პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს უკეთესად გაკონტროლებული და აღწერილი. მნიშვნელოვანია აღნიშნული მეთოდების ეფექტიანობის განგრძობითად შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში ცვლილებების შეტანა იმისათვის, რომ გამოვლინდეს სტუდენტების პროგრესი ენის ცოდნაში და სამედიცინო განათლებაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში,
- გასაუბრებები,
- დანართები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; წახალისეთ აქტიური სწავლების ტექნიკები, როგორცაა პრობლემის გადაჭრა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები.

მეტი ყურადღება დაუთმეთ სომხურ ენაზე კომუნიკაციის უნარს.

ელექტრონული სწავლების მიდგომები შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიკური კონცეფციის გასაუმჯობესებლად.

გააძლიერეთ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოები სტუდენტებისათვის, მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში დეპარტამენტებში/კლინიკებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
	შია	შესაბამისობაში	შესაბამისობაში	შესაბამისო
მოთხოვნებთ	ია	ია	ია	ბაში
ან	მოთხოვნებთა	მოთხოვნებთა	მოთხოვნებთა	მოთხოვნებთან
	ნ	ნ	ნ	

2.3.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სწავლებ ის და სწავლის მეთოდები				

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალად, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვლად ყველა სტუდენტისათვის და შეესაბამება უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებს და კანონმდებლობას. სილაბუსებში გათვალისწინებულია შეფასების სისტემის აღწერილობა. უნივერსიტეტმა უზრუნველყო შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება 2015, 2020 და 2022 წლებში. საბოლოო ატესტაციას ადმინისტრირებას უწევს საბოლოო გამოცდების სახელმწიფო კომისია და ის შეესაბამება არსებულ ეროვნულ კანონმდებლობას. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, როგორც ერთ-ერთი შეფასების მეთოდი საბოლოო ატესტაციაში გათვალისწინებულია 2022-2023 სასწავლო წლიდან.

სტუდენტების შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი ქულობრივი სისტემა: 9-10 ძალიან კარგი, 7-8 კარგი, 5-6 სამართლიანი და 1-4 ჩაჭრა. არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

(FX)- ვერ ჩააბარა- მინიმალურ (5) ქულაზე ნაკლები, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს ესაჭიროება მეტი მუშაობა ჩასაბარებლად და ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად მუშაობის შემდგომ ჩააბაროს ორი დამატებითი გამოცდა.

(F) ჩაიჭრა - მინიმალურ (5) ქულაზე ნაკლები დამატებითი ორი გამოცდის შემდეგ, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტის ნამუშევარი არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს მოდული.

პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდები შეესაბამება მოდულების სწავლის შედეგებს და პროგრამას მთლიანობაში. კლინიკურ მოდულში კლინიკური უნარების შეფასება ითვალისწინებს მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოს (Mini-CEX) და პროცედურულ უნარებზე პირდაპირ დაკვირვებას (DOPS), ხოლო ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) გათვალისწინებულია საბოლოო ატესტაციისათვის. კლინიკური მოდულის შეფასებისას გამოიყენება ჩექლისთები და ჟურნალები.

პრეკლინიკურ მოდულში, პრაქტიკული უნარების შეფასება ითვალისწინებს ისეთ დავალებებს, როგორც არის მომზადება, ჰისტოლოგიური სლაიდები, სურათები, გამოსახულებები და სხვა მსგავსი აქტივობები. ჰუმანიტარულ მოდულში, შეფასების მეთოდი შეიძლება მოიცავდეს დისკუსიებში მონაწილეობას, პრეზენტაციის წარდგენას და სხვა შესაბამის აქტივობას.

ყველა საბოლოო გამოცდა ტარდება კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში და სტუდენტები გამოცდის დასრულებისთანავე იღებენ მომენტარულ უკუკავშირს მიღებულ ქულასთან დაკავშირებით.

სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცესი არის კარგად ჩამოყალიბებული და გამჭვირვალე. ინტერვიების დროს სტუდენტებმა დაადატურეს, რომ იცნობდნენ გასაჩივრების პროცედურებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები. 2022 წლიდან უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის თავიდან აცილების პოლიტიკა.

უნივერსიტეტმა ტესტზე დაფუძნებული შეფასების სისტემიდან (ერთი საბოლოო გამოცდა) გადაინაცვლა სწავლის შედეგების შეფასების მრავალკომპონენტური სისტემაზე. თუმცა ყველა მოდულისათვის საბოლოო გამოცდის საერთო მოცულობა შეადგენს 80%-ს, ხოლო მიმდინარე შეფასება 20%-ს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ შეფასების რეჟიმში თანაფარდობა მიუთითებს პროგრესულ ნაბიჯზე, შემდგომი რეგულარული შესწავლით. ზოგიერთი კურსები, მაგალითად, ყველა არჩევითი კურსი და აკადემიური სომხური, ითვალისწინებს მხოლოდ ერთჯერად შეფასებას და იყენებს "ჩააბარა" და "ვერ ჩააბარა" კრიტერიუმს. ასეთი სისტემა გათვალისწინებული იყო წინამორბედ პროგრამებში. აღნიშნული მიდგომა ეტაპობრივად უქმდება და ამოღებული იქნება გაუმჯობესებული შეფასების სისტემიდან.

თვითშეფასების მიხედვით, შეფასების რეჟიმის არჩევაზე გავლენას ახდენს დისციპლინების მოცულობა და ის თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან. მიუხედავად აღნიშნულისა სახეზეა ერთიანი მიდგომა ყველა, პრეკლინიკური მოდულის, კლინიკური მოდულის და ჰუმანიტარული მოდულის მიმართ. მხოლოდ სამეცნიერო მოდული ითვალისწინებს განსხვავებულ შეფასების მეთოდს.

სილაბუსი მოიცავს არსებული ზეპირი გამოკითხვის აღწერილობას, რაც წარმოადგენს განმავითარებელ/მიმდინარე შეფასებას. შეფასება გამოითვლება სტუდენტის აქტივობის შესაბამისად და მოიცავს მომზადებას, დისკუსიებში მონაწილეობას და პრეზენტაციის უნარებს. თუმცა, ქულობრივი გრადაცია და რუბრიკები უფრო მეტად უნდა იყოს დეტალიზებული, იმისათვის რომ კრიტერიუმები იყოს ნათელი და გასაგები სტუდენტებისათვის. მაგალითად, თუ პრეზენტაცია შეფასდება 10 ქულის ფარგლებში, შემდგომ ის უნდა დაიყოს რუბრიკების მიხედვით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი,
- სილაბუსები

- დანართები,
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

შეადგინეთ და დანერგეთ უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები ქულების მინიჭებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია მრავალკომპონენტური შეფასების სისტემის დანერგვა ყველა საგნისთვის შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
 პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები
 სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, ვიზიტის დროს შეგროვებული დამატებითი დეტალების და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მოიცავს სემესტრის მანძილზე აკადემიურ და ამინისტრაციულ პერსონალთან რეგულარულ პირისპირ შეხვედრებს, კვირის მანძილზე განრიგით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებს და პირდაპირ კომუნიკაციას უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის და სოციალური მედია პლატფორმების გამოყენების საშუალებებით. კონსულტაციების დროს სტუდენტებს შეუძლიათ განიხილონ სხვადასხვა თემა, მაგალითად, სასწავლო პროცესი, განიხილონ საგამოცდო კითხვარების და ტესტების შედეგები, სასწავლო მასალა, პირადი საკითხები და ა.შ. და მიიღონ საჭირო რჩევები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.

სტუდენტებს, რომლებმაც საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა) გააცდინეს ლექციები უნივერსიტეტი სთავაზობს უფასო ლექციებს იმისათვის რომ დაეწიონ მასალას. იმ სტუდენტების მხარდასაჭერად, რომლებსაც შეექმნებათ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები, გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებით გაუფორმდებათ ხელშეკრულება გადასახადის ნაწილ-ნაწილ გადახდის შესახებ.

საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ეხმარება სტუდენტებს საცხოვრებელი ადგილის მოძიებაში (სტუდენტური ჰოსტელი) და აგვარებს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება სტუდენტების კანონიერ სტატუსს, ცხოვრების სტილს და კულტურულ გამოცდილებებს. სტუდენტური პარლამენტი, საერთაშორისო სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს სომხური ენის კლუბს, რომლის მიზანია შეასწავლოს მათ სომხური ენა, იმისათვის, რომ გაუადვილდეთ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებთან კომუნიკაცია.

სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის უნივერსიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა მექანიზმს. მაგალითად, სამეცნიერო საბჭოს და სამეურვეო საბჭოს 25% წარმომადგენენ სტუდენტები. მეორე მაგალითია ის, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პარლამენტი, რომელიც დაკომპლექტებულია, როგორც სომხური ისე ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებით. ინტეგრაციის მიზნით სტუდენტური პარლამენტის და ფიზიკური განათლების დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში და ა.შ. უნივერსიტეტში არის კარდიოლოგიის და ფიზიოლოგიის კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებს როგორც ცოდნის გაღრმავებაში, ასევე სხვადასხვა გამოცდილების მქონე სტუდენტებს ეხმარებიან კომუნიკაციის დამყარებაში და ინტეგრაციაში. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს კულტურის კლუბი,

რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ ინფორმაცია ერთმანეთის კულტურის შესახებ.

უნივერსიტეტში არის კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც დიდ როლს ასრულებს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებაში. კარიერული განვითარების ცენტრი არა მხოლოდ ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განსზღვრონ კარიერული ორიენტაცია, არამედ ინარჩუნებს კომუნიკაციას კურსდამთავრებულებთან და შესაძლებლობის შესაბამისად სთავაზობს დასაქმებას იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებთანაც თანამშრომლობს უნივერსიტეტი.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტში, როგორც არის: "ლანცეტი" ქირურგიული უნარების გადაცემის პროგრამა, სადაც გამოცდილი პროფესიონალები ეხმარებიან სტუდენტებს გამოიმუშონ ძირითადი ქირურგიული უნარები. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ იყვნენ COBRAIN ცენტრის ნაწილი, სადაც შეძლებენ სხვადასხვა კვლევის ჩატარებას. მაგალითად, ვიზიტის დროს სტუდენტები ატარებდნენ კვლევას ალცჰეიმერის დაავადების შესახებ. ასევე უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს ღონისძიებებს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნაშრომები და ეძლევათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ შრომები სამედიცინო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ჟურნალებში. უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა კონფერენციას, რომელიც ეთმობა ისეთ თემებს როგორცაა: "მამაკაცის ჯანმრთელობა", "ღვიძლის გადნერგვა" და ა.შ. სტუდენტებს გადაეცემათ დასწრების/მონაწილეობის სერთიფიკატები.

უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს 3-6 თვიან უფასო გრძელვადიან კურსებს GLOBUS და FMGE სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რაც მათ შემდგომ დაეხმარება საერთაშორისო სამედიცინო ლიცენზირების გამოცდების ჩაბარებაში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტურ გაცვლით პროგრამებს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში და სარგებლობს Erasmus+ მობილობის პროგრამით (მაგ. პორტოს უნივერსიტეტი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი და ა.შ.). მიუხედავად ამისა, თვითშეფასებაში წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ 10 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას გაცვლით პროგრამაში. მცირე მაჩვენებლის მიზეზად დასახელდა ინგლისური პროგრამების ნაკლებობა მასპინძელ უნივერსიტეტში/ინსტიტუციაში, განსხვავება სასწავლო გეგმაში და კორონავირუსის პანდემია.

სტუდენტების ინფორმირება სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტის შესახებ ხორციელდება პერსონალური შეხვედრების, უნივერსიტეტის ვებგვერდის, რომლის დემონსტრირებაც მოხდა ვიზიტის დროს და სოციალური მედიის მეშვეობით (მაგ. ფეისბუქი, ინსტაგრამი,

ტელეგრამი). სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური ანგარიშები სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე, რომლის მეშვეობითაც იღებენ ინფორმაციას გამოცდების და ცხრილების შესახებ. მათ ასევე შეუძლიათ დაამატონ მოსაზრებები, მოთხოვნები და შეთავაზებები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაციის და ადგილზე ვიზიტიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული და ეფექტური მექანიზმები სტუდენტებთან კომუნიკაციის, კონსულტაციის, სწავლის, ინტეგრაციის და კარიერული გამვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, გასაუმჯობესებელია საერთაშორისო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან.
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სოციალური მედიის პლატფორმები
- სტუდენტების ელექტრონული პორტალი
- კონსულტაციების ცხრილი, შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

განაგრძეთ მუშაობა ERASMUS+ პროგრამების გამოყენები მიმართულებით და ჩამოაყალიბეთ ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან იმისათვის რომ გაზარდოთ შესაძლებლობები იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში
------------	------------------------------	---------------------------------------	---	------------------------

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---------------------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

მჭერი
სერვის
ები

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება 39 პროფესორის, 95 ასოცირებული პროფესორის, 182 ასისტენტ პროფესორის, 82 სასწავლო ასისტენტის და 17 მეცნიერის მიერ. სასწავლო პროცესში დამატებით ჩართულია 32 მოწვეული პერსონალი. 398 აკადემიურ პერსონალს გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება უნივერსიტეტის აფილირების პოლიტიკის შესაბამისად. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის შემუშავებაში ასევე ჩართულია უცხოელი პერსონალი, 58 - სწავლებაში, ხოლო 38 კვლევის მიმართულებით. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობაა 991.

ინტერვიუების დროს ლექტორებმა დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესი არის ღია და გამჭვირვალე. ვაკანსიები თავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და იბეჭდება გაზეთებში კონკურსის გამოცხადებამდე სულ მცირე 1.5 თვით ადრე. კონკურსის დროს ფაკულტეტის პროფესიული პროფილი ფასდება სხვადასხვა აკადემიური წოდებისთვის სამუშაო პასუხისმგებლობის და პროფილის აღწერილობის რეგულაციის შესაბამისად. წესები ობიექტურია და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე. შერჩევის კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც მოიცავს განათლებას, გამოცდილებას, სამეცნიერო აქტივობებს, ინგლისური ენის სერთიფიკატს, ასევე კონკურსი უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვას და აყვანას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენციები იმისათვის, რომ დაეხმარონ სტუდენტებს მიაღწიონ პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებს.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა, როგორც მითითებულია მე-11 დანართში ასახავს სასწავლო საათების სემესტრულ განაწილებას. სავალდებულო სასწავლო საათების რაოდენობა შეესაბამება უნივერსიტეტის მოთხოვნებს (პროფესორი - 500 სთ; ასოცირებული პროფესორი - 750 სთ; უფროსი ლექტორი - 800 სთ; სასწავლო ასისტენტი - 500 სთ). ასევე სილაბუსში მითითებული არის, რომ პროფესორის სამუშაო დატვირთვა მოიცავს საკონსულტაციო დროს სტუდენტებისათვის. ინტერვიუების დროს პერსონალმა აღნიშნა, რომ მათი სამუშაო დატვირთვა მოიცავს კვლევით აქტივობებს და სხვა განსაზღვრულ ვალდებულებებს, როგორც არის განგრძობითი განათლება, კლინიკური აქტივობები, სოციალური აქტივობები და ა.შ. რაც ასახულია "ლექტორის კვალიფიკაციის შეფასების კითხვარში". კვლევის სამუშაო დატვირთვის სქემა წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის მარეგულირებელ დოკუმენტში და განისაზღვრებ 5 წლით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ასეთი სამუშაო დატვირთვა გარანტიაა იმისა, რომ მათი საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობები სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად სათანადოდ იქნება განხორციელებული. დამატებითმა დოკუმენტაციამ ჰიგიენის და ეკოლოგიის დეპარტამენტის პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესახებ მოგვაწოდა დეტალები ლექციებისთვის განსაზღვრული საათების, პრაქტიკული მეცადინეობების, კვლევის და მეთოდოლოგიის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დოქტორის ხარისხი მედიცინაში და შესაბამისი განათლება, სწავლების და ადმინისტრირების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა ახალი მოდულარიზებული პროგრამის შემუშავებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სხვა სერვისების მხარდაჭერით. დამხმარე პერსონალის მოძიება და აყვანა ხორციელდება გამჭვირვალობის პრინციპით და შეესაბამება თავისუფალ პოზიციებზე არჩევნების კონკურსების ორგანიზების და ჩატარების პოლიტიკას, რომელიც დათარიღებულია ივნისი 17, 2017. მსურველები, რომლებიც აკმაყოფილებენ პოზიციის აღწერილობაში

განსაზღვრულ კრიტერიუმებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში. პროგრამას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	475	475	238	317
- პროფესორი	39	39	39	33
- ასოცირებული პროფესორი	95	95	95	7
- ასისტენტ-პროფესორი	210 170+39	210	50(25+25)	152
- ასისტენტი	82	82	5	47
მოწვეული პერსონალი	32	32		-
სამეცნიერო პერსონალი	17			-

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სწავლების მხრივ არსებულ სამუშაო დატვირთვასთან ერთად, დანერგეთ სამეცნიერო და სხვა აქტივობების წლიური ნორმებიც.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	-------------------------------	---	---	-------------------------------------

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი



4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარგად ჩამოყალიბებული სისტემური პერსონალის შეფასების სტრუქტურა. 2016 წლიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხის შეფასების და უზრუნველყოფის ცენტრი იყენებს "დაგეგმე-განახორციელე-შეისწავლე-იმოქმედე" მეთოდს, რაც გამოხატავს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის განათლების ხარისხის სტანდარტები. ასევე, ლექტორების კვალიფიკაციის შეფასების მოდელი მოიცავს უკუკავშირს მრავალი დაინტერესებული პირებისაგან, რაც განასახიერებს აკადემიური საქმიანობის შეფასებისადმი ყოვლისმომცველ მიდგომას დეტალური კითხვარების და სისტემატური, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გადახედვის პრინციპის გამოყენებით.

უნივერსიტეტში პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც ჩამოყალიბდა 2023 წელს და უზრუნველყოფს ფაკულტეტს სასწავლო და კვლევითი ფართო შესაძლებლობებით ინსტიტუციური დაფინანსების გამოყენებით. დეპარტამენტის მხრიდან ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის წახალისება, სწავლების და კვლევის კომპეტენციების გაზრდის მიზნით.

აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაციის შემდგომი ანალიზი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს ხარისხობრივი გამოკითხვების საწარმოებლად. პერსონალის მენეჯმენტი აფასებს სამეცნიერო წრეების და პროექტების ეფექტურობას, მაშინ როდესაც თვითშეფასების ანგარიშები გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო პერსონალის მიერ სამუშაო გარემოთი კმაყოფილების განსასაზღვრად. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენენ დასაქმებულების ინსტრუმენტს გააჟღერონ თავიანთი ინტერესები, გამოწვევები და სურვილები. მიღებული მონაცემები გადამუშავდება და ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს დეტალური ანალიზისათვის, რომელიც წარადგენს შეფასებებს და განსაზღვრავს შემდგომი პროფესიული განვითარების გზებს.

აღნიშნულ პროცესში ასევე მონაწილეობს აკადემიური საბჭოს სამდივნო,

რომელიც ზომავს მონაცემთა ინდიკატორებს, რომლებიც შემუშავებულია ლექტორთა კვალიფიკაციის განვითარების მიზნით. მოწვეული პერსონალი ახორციელებს გაძლიერებულ გადამზადების კურსებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის, ასევე პროგრამის მენეჯერებისათვის ლიდერობასა და მართვის, გამოკითხვის შედეგების სწორად შეფასებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელების და სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების რეგულაციები დეტალურად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში და სხვა დოკუმენტებში.

დამატებით, არსებული კვლევის წამახალისებელი სისტემა ფინანსური მხარდაჭერის გამოყენებით უნდა გამრავალფეროვნდეს. წახალისების სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ძლიერი კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს აკადემიურ მხარდაჭერას და აღიარებას.

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემა, რომელიც შეესაბამება მოსალოდნელ სტანდრტებს. თუმცა შესაძლებელია არსებული პროცესების განვითარება იმისათვის რომ შედეგი იყოს ხელშესახები და ითვალისწინებეს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ცვალებად საჭიროებებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ინტერვიუები პერსონალთან,
- აკრედიტაციის მოთხოვნების ანალიზი (დანართი 13)
- თვითშეფასება

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
	შია	შესაბამისობ	შესაბამისობ	შესაბამისობ
	მოთხოვნებთ	აშია	აშია	აში
	ან	მოთხოვნებ	მოთხოვნებ	მოთხოვნებ
		თან	თან	თან

4.3



აკადემიური,
სამეცნიერო
და მოწვეული
პერსონალის
პროფესიული
განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის კამპუსი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ერევანი, კორიუნის ქ.2, კამპუსი მოიცავს 28,000 კვ.მ ფართს, რომლის 70% ეთმობა სალექციო ოთახებს, ხოლო დარჩენილი 30% განკუთვნილია ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის.

ძირითადი საგნების დეპარტამენტები განლაგებულია უნივერსიტეტის კამპუსში, სადაც ასევე არის სალექციო დარბაზები, სალექციო ოთახები, საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა, ანატომიის მუზეუმი, მედიცინის ისტორიის მუზეუმი და ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები. სალექციო დარბაზები კარგად არის აღჭურვილი ყველა საჭირო მოწყობილობით და ხელსაწყოებით. სალექციო ოთახებში შესაძლებელია განთავსდეს დაახლოებით 15 სტუდენტი. ძირითადი საგნების დეპარტამენტები, როგორც არის ჰისტოლოგია, ანატომია და პათოლოგიური ანატომია აღჭურვილია მიკროსკოპებით, მაკრო და სითხეში შენახული ორგანიზმებით, მულაჟებით და ყველა საჭირო აღჭურვილობით.

საგამოცდო ცენტრი, რომელსაც ასევე უწოდებენ კომპიუტერზე დაფუძნებულ საგამოცდო დეპარტამენტს, უზრუნველყოფს მრავალარჩევითპასუხიანი კითხვებით (MCQ) გამოცდების ჩატარებას მედიცინის პროგრამისათვის. საგამოცდო ცენტრში წარმოდგენილია 350 კომპიუტერი, რომელიც იყენებს უნივერსიტეტის დაცული სერვერების პროგრამას.

ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო და წარმოდგენილია საკმაოდ დიდი ბეჭდური და ელექტრონული კოლექცია. ის მოიცავს დაახლოებით 440,000 სამედიცინო წიგნს, ჟურნალს და სხვა ბეჭდურ რესურსს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ თავის კოლექციას დაამატა 2,800 ბეჭდური რესურსი. დამატებით, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, ჟურნალებზე და ელექტრონულ წიგნებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის KOHA Pan- ამერიკული ბიბლიოთეკის

სრული წევრი, რომელიც აერთიანებს 21 მსხვილ ბიბლიოთეკას.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. ლიტერატურის ციფრული ასლები აკადემიური პერსონალის ავტორობით ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ციფრულ პლატფორმაზე (www.ysmubooks.am) და ელექტრონული მართვის სისტემაში. თითოეულ სტუდენტს და პერსონალის წევრს ენიჭება ოფიციალური საიდენტიფიკაციო ელექტრონული ფოსტის მისამართი (@meduni.am) ციფრულ პლატფორმაზე წვდომის მისაღებად.

უნივერსიტეტის კამპუსში ფუნქციონირებს თავისუფალი უსადენო ინტერნეტი. სტუდენტებს აქვთ წვდომა Dr. Lex პლატფორმაზე მობილური აპლიკაციის მეშვეობით. აღნიშნული უზრუნველყოფილია e Sylex ჯგუფსა და უნივერსიტეტს შორის 2020 წელს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმით.

სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის კამპუსში არის კარგად აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორია (COBRAIN), აღნიშნულის შესახებ დასკვნის სხვა ნაწილებშიც არის წარმოდგენილი განხილვები. დამატებით, უნივერსიტეტს აქვს სპორტული დარბაზები და კაფეტერია.

კლინიკური სწავლებისთვის უნივერსიტეტი მართავს 3 სამედიცინო დაწესებულებას: ჰერაციის საავადმყოფოს კომპლექსი No. 1, მურაცანის ბავშვთა საავადმყოფოს კომპლექსი და მიქაელიანის ქირურგიის ინსტიტუტი, გაერთიანებულად 600 საწოლის რაოდენობით. უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, მთლიანობაში 3400 ამბულატორიული და ჰოსპიტალიზირებული პაციენტების საწოლებით კლინიკური სწავლებისათვის.

უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრი მდებარეობს მიქაელიანის ქირურგიის ინსტიტუტში და მოიცავს 800 კვ.მ-ს. და აღჭურვილია სიმულაციური მანეკენებით და შესაბამისი აღჭურვილობით. ყოველწლიურად ხორციელდება სიმულაციური ცენტრის აღჭურვილობის განახლება, საშუალოდ მოიცავს 200-250 მილიონი სომხური დრამის ინვესტიციას ბოლო 5 წლის მანძილზე. უნივერსიტეტი რეგულარულად ანახლებს სიმულაციური ცენტრის რესურსებს მინიმუმ 10 % - ით. კამპუსის შენობები და სიმულაციური ცენტრი მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

მიქაელიანის ქირურგიის ინსტიტუტში ასევე განთავსებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის სივრცე, რომელიც შედგება 20 ოთახისგან და აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ყველა აუცილებელი იარაღებით. 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში პირველად ჩატარდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები და გამოყენებული იყო დაკვირვების სამეთვალყურეო სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი ეწვია უნივერსიტეტის სამედიცინო დაწესებულებას (მიქაელიანის სახელობის ქირურგიული ინსტიტუტი) და ერთ

კერძო კლინიკას. ორივე სამედიცინო დაწესებულებაში სასწავლო ოთახები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტები დაყოფილნი არიან ჯგუფებად და ნაწილდებიან საავადმყოფო ოთახებში, მანიპულაციებზე ან სოპერაციო ბლოკებში. მათ შესაძლებლობა აქვთ დააკვირდნენ კონსულტაციებს, მანიპულაციებს, ოპერაციებს და მეთვალყურეობის ქვეშ შეასრულონ მარტივი ქირურგიული პროცედურები პაციენტის თანხმობით.

უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს 700 საწოლიანი საერთო საცხოვრებლის კოპლექსით.

ძირითადი საგნების დეპარტამენტი, უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრი და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გმოცდის სივრცე ემსახურება როგორც მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებს, ასევე სოხურენოვანი და რუსულენოვანი მედიცინის პროგრამის სტუდენტებს. თუმცა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამივე პროგრამის სტუდენტების საჭიროებები აუცილებელია აღჭურვილობის, მანეკენების და სიმულატორების რაოდენობის დამატება.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები,
- ინტერვიუს შედეგები
- ვიზიტის დროს განხორციელებული დაკვირვება

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გამდიდრეთ საბიბლიოთეკო, ასევე დეპარტამენტების რესურსები და სიმულაციური ცენტრის/ OSCE გამოცდის რესურსები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან
4.4 მატერილური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის ფინანსური მდგრადობა ბიუჯეტური განაწილება. პროგრამა გამოხატავს კარგად ჩამოყალიბებულ ფინანსურ სტრატეგიას, რაც ეკონომიკურად განხორციელებადია და მჭიდროდ უკავშირდება პროგრამის საჭიროებებს. ასეთი სტრატეგია არა მხოლოდ უზრუნველყოფს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობას, არამედ ხელს უწყობს მის ზრდას და მუდმივ გაუმჯობესებას.

პროგრამის ბიუჯეტი ყურადღებით არის განსაზღვრული და სხვა პროგრამებიდან მიღებული შემოსავლების 15.3% მიზანმიმართულია მედიცინის პროგრამებისათვის. ასეთი განაწილება მიუთითებს პროგრამების მდგრადობისათვის განსაზღვრულ ნებაყოფლობით ინვესტიციაზე. გარდა ამისა, საბიუჯეტო პერიოდის კალენდარული წლით განსაზღვრა 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზრდის გამჭვირვალობას და შესაბამისობას ფინანსური მენეჯმენტის სტანდარტულ პროცედურებთან.

გათვალისწინებულია რესურსების ეფექტური მართვა, რაც თვალსაჩინოა პროგრამის მიდგომით გამოავლინოს ბიუჯეტის ცვლილებები, გაანალიზოს გამომწვევი მიზეზები და იპოვოს შესაბამისი გამოსავალი. სტანდარტიზირებული ბიუჯეტური ფორმების გამოყენება და შესრულების ინდიკატორების ურთიერთდაკავშირება იძლევა ძლიერ მონახაზს ფინანსური ხედვის შესანარჩუნებლად.

ფინანსური პროგნოზირების უზრუნველყოფის მიზნით, დეტალურად განისაზღვრება ყოველწლიური შემოსავლების პროგნოზი, რომელიც მოიცავს შესრულების სტრატეგიულ სამიზნეებს, წინა წლის ბიუჯეტის ათვისების ხედვებს და მიმდინარე წლის დეპარტამენტების მოთხოვნებს. დაგეგმვის ასეთი დონე მეტყველებს ყოვლისმომცველი, დინამიური და შორსმჭვრეტელი ფინანსური სტრატეგიის არსებობაზე.

პროგრამა ავლენს მზაობას გაუმჯობესოს განათლების ხარისხი მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციების გამოყენებით. აღსანიშნავია, "მიქაელიანის" სამედიცინო დაწესებულების უმეტესი წილის ფლობა და კამპუსის ახალი შენობის დამატება პროგრამის კლინიკური და აკადემიური რესურსების უზრუნველსაყოფად. ასევე, ახალი სტუდენტური ჰოსტელის მშენებლობა და საბიბლიოთეკო რესურსების დაფინანსების გაზრდა მიუთითებს ინვესტიციაზე პროგრამის ინფრასტრუქტურაში.

რაც შეეხება ფაკულტეტის ანაზღაურებას, მთლიანობაში არ მომატებულა, თუმცა გათვალისწინებულია შესრულებაზე დაფუძნებული ფულადი ჯილდოს სისტემა. თვალსაჩინოა ბონუსების მომატება ფაკულტეტის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ასწავლიან საერთაშორისო სტუდენტებს, რაც ითვალისწინებს სწავლების დატვირთვას, სტუდენტების პროგრესს და შეფასებას. აღნიშნული ნაბიჯი მიუთითებს კომპენსაციის და დაჯილდოების მეტროკრატიულ მიდგომაზე.

მიუხედავად პოზიტიური მაჩვენებლებისა, გარკვეული მიმართულებები

საყურადღებოა. პროგრამის ოპერირებაზე განხორციელებულ დანახარჯებში არ არის გათვალისწინებული ფაკულტეტის წევრების ხელფასების ზრდა, რაც აჩენს კითხვებს ფინანსური რესურსების განაწილებაზე. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა მატერიალური რესურსების და

ინფრასტრუქტურის მიმართულებით, აუცილებელია განიმარტოს თუ როგორ აისახება აღნიშნული სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზე. და ბოლოს, მოცემული კაპიტალური ინვესტიციების მასშტაბიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფინანსური სტრატეგიის მუდმივი მიმოხილვა იმისათვის, რომ გავიგოთ არსებული ფინანსური მოდელის მდგრადობა. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა, ხორციელდება ფინანსური მდგრადობის მიმართულებით და ითვალისწინებს რესურსების სტრატეგიულ განაწილებას, რაც მხარს უჭერს პროგრამის ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს და ფუნქციონირებას. აღსანიშნავია პროგრამის ვალდებულება გააუმჯობესოს ხარისხი სტრატეგიული ინვესტიციების და ფაკულტეტის წევრების დამსახურებაზე დაფუძნებული კომპენსაციის გამოყენებით. თუმცა, პროგრამის ფინანსური სიჯანსაღის და განხორციელებული ინვესტიციების ეფექტურობის მიზნით აუცილებელია ხანგრძლივი დაკვირვების წარმოება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხარისხის და შედეგების გაუმჯობესება.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის (პროგრამი) ფინანსური ბიუჯეტი,

რეკომენდაციები

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედიცინის პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს პროგრამის ეფექტურად შეფასების და განვითარებისათვის აუცილებელ მახიათებლებს. პროგრამის მიხედვით თვალსაჩინოა მჭიდრო თანამშრომლობა პერსონალსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სუბიექტებს შორის. აღნიშნული მტკიცდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სტრატეგიული დაგეგმვით, შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტების განვითარებით და სხვადასხვა შეფასების შედეგების დეტალური ანალიზით.

მაგალითად, პროგრამაში დაცულია სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტი, როგორც არის გამოკითხვები და შეფასებითი კვლევები.

დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები მონაწილეობენ შეფასების პროცესში. თუმცა აღინიშნა, რომ ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ, კერძოდ დამსაქმებლებმა გამოავლინეს შეზღუდული ცოდნა შეფასების პროცესთან და მის კომპლექსურობასთან დაკავშირებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უნდა განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობის

დონის ამაღლება მათი კონტრიბუციის უკეთესად გამოყენების მიზნით.

მუდმივი განვითარების კუთხით, პროგრამამ გამოავლინა პროაქტიული სტრატეგია, განსაკუთრებით აღნიშნული ეხება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევას პროგრამის პერსონალთან ურთიერთთანამშრომლობით. მათი ურთიერთკავშირი ხელს უწყობს გამოვლინდეს საკითხები, რომლებიც საჭიროებენ განვითარებას. გაუმჯობესების სტრატეგიული ინიციატივები მიმართულია სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და პროგრამის ხარისხის ამაღლების ხელშესაწყობად. აკადემიური პერსონალი დემონსტრირებს ჩართულობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

პროგრამის სამოქმედო ჩარჩოში გათვალისწინებულია დაგეგმვა-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე პრინციპი, რომელიც მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განმეორებით შესრულებაზე. მიუხედავად ამისა, რეგულარულ მონიტორინგის აქტივობებთან ერთად, არის მრავალი, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებადი და ერთჯერადი, პროცედურები. ამაში იგულისხმება ლექციაში მონაწილეობის კითხვარები და სხვასთან ერთად, წინარე ცოდნის შეფასების ანალიზი. უცნობია თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული გამოკითხვებით ხარისხის სისტემატიური გაუმჯობესება და მათი დანიშნულება არ არის გასაგები. აღნიშნული პროცესების სტრატეგიულად რაციონალიზაციამ შესაძლებელია გააუმჯობესოს აქტივობების ეფექტიანობა, შემცირდეს კომპონენტები, რომელიც არ არის აუცილებელი და დაინერგოს ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული მიდგომა.

გარდა ამისა, პროგრამას შეეძლო ესარგებლა გამარტივების სტრატეგიით, რომელიც მიზნად ისახავდა შეფასების შედეგების გაერთინებას და კლასიფიკაციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მიგნებების ეფექტურ გამოყენებას, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფდა უფრო მეტად სტრატეგიულ და შედეგიან გაუმჯობესების პროცესს.

ტექნოლოგიურ მიღწევებთან ადაპტაციის თვალსაზრისით, პროგრამას აქვს მექანიზმი ელექტრონული და დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ასახავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობას, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე განათლების განხორციელებისათვის სხვადასხვა საჭიროებას და უზრუნველყოფენ სწავლების სხვადასხვა პარადიგმაში თანმიმდევრულ, საუკეთესო განათლებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე ფაკულტეტის) შეფასების შედეგები და ამ შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- სტატისტიკური მონაცემები
- თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული აქტივობები და

- ცვლილებები;
- გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესის ელექტრონულად/დისტანციურად განხორციელების მეთოდოლოგია,
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მეტად გააუმჯობესეთ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ინვესტიცია ჩადეთ ისეთ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ინფორმირებულობას, განსაკუთრებით გარე დაინტერესებული მხარეების, როგორც არიან დამსაქმებლები.

სასურველია შეფასების შედეგების გამარტივება, რაციონალიზაცია და პრიორიტეტად ქცევა, შეფასების მიგნებების კონსოლიდირებისთვის სტრატეგიების შემუშავების გზით და მათი სტრატეგიული გავლენის პოტენციალის საფუძველზე, პრიორიტეტულობის მინიჭებით.

შეისწავლეთ ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები შეფასების პროცესების ოპტიმიზაციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეფასების მიგნებების ანალიზის გასაუმჯობესებლად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და

ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად ფასდებოდა გარე ექსპერტების მიერ. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა გზას:

- უნივერსიტეტი ყოველ ხუთ წელიწადში გადის ინსტიტუციურ აკრედიტაციას, რომელიც ტარდება პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფონდის ეროვნული ცენტრის მიერ.
- უნივერსიტეტმა უზრუნველყო მედიცინის პროგრამების შედარება სხვა ევროპულ პროგრამებთან.
- განხორციელდა გარე შეფასება საერთაშორისო ექსპერტის მიერ.

განვითარების მიზნით გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა შეფასებისას გაცემული მრავალი რეკომენდაცია:

- დაინერგა უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს სწავლების მართვის სისტემას. ელექტრონული სისტემა ასევე ეფექტურად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცესებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების მიზნით.
- გაძლიერდა პროგრამის ინტეგრაცია. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა დისციპლინების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, სასწავლო გეგმაში არსებული განსხვავებების მოცულობა, კავშირი პროგრამის კონკრეტულ საგნებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- შემუშავებულია სწავლა/სწავლების და შეფასების ახალი მეთოდები
- განხორციელდა ფაკულტეტის განმავითარებელი ტრენინგები როგორც სწავლების და შეფასების ახალ მეთოდებზე, ასევე სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.
- შეფასების მრავალკომპონენტური სისტემამ შესაძლებელი გახადა ძირითადი პროფესიული დისციპლინების მიმდინარე გამოცდებში ვრცელი კომპონენტების პრაქტიკული უნარების დიფერენცირებული შეფასება. შემუშავდა კითხვარები პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით.
- დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, რომელიც წარმოადგენს უნარების და ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის კომპონენტის საბოლოო, შემაჯამებელ შეფასებას. ფაკულტეტმა შეიმუშავა კლინიკური სცენარები და შესაფასებელი კრიტერიუმების ნუსხა.
- მედიცინის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გარე შემფასებელი ყურადღებას ამახვილებს სწავლის შედეგების შეფასების ფორმატზე, კონკრეტული საგნების და პროგრამის შედეგებს შორის კავშირზე და ა.შ. მრავალკომპონენტური სისტემის წარმოდგენამდე პროგრამა ცდილობს მოთხოვნების დაკმაყოფილებას (დეტალურად განმარტებულია 1.2 და 1.3 კომპონენტებში).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ცდილობს

გათვალისწინოს რაც შეიძლება მეტი რეკომენდაცია, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის გაუმჯობესებისათვის. არსებული შეფასების უმეტესი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია და შეტანილია სამოქმედო გეგმაში. მნიშვნელოვანი არის, რომ ფიქსირდება განგრძობითობა დაგეგმვის, აღსრულების და პროცესის გაუმჯობესებაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში,
- დანართები,
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან
5.2. შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტი დეტალურად აღწერს იმ მექანიზმებს და პროცედურებს, რომლებიც შემუშავებულია "ზოგადი მედიცინის" საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასებისათვის. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ფაკულტეტის,

ადმინისტრაციული პერსონალის და ასოცირებული პროფესიონალების ჩართულობის შესახებ. ასევე ჩამოთვლილია ინსტრუმენტები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მონიტორინგის პროცესში. მათ შორის არის გამოკითხვები, შესწავლა, დისკუსიები და დაკვირვება. მოცემულია კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ თუ როგორ ხორციელდება ცვლილებები სასწავლო გეგმაში უკუკავშირის საფუძველზე და როგორ გამოიყენება უკუკავშირი პრაქტიკაში. უფრო მეტიც, თვალსაჩინოა უნივერსიტეტის მიერ განგრძობადი განმავითარებელი ციკლის უზრუნველყოფა, სადაც უკუკავშირი და მიგნებები გამოიყენება პროგრამის დახვეწის და გაუმჯობესების მიზნით. მონიტორინგის პროცედურის და უნივერსიტეტის პროგრამების ხელახლა გადახედვის შედეგად დგინდება, რომ პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად აკადემიური წლის დასრულებიდან ექვსი თვის პერიოდში. პროგრამა აღნიშნავს დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვანი ჯგუფების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას მონიტორინგის პროცესში. როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ფაკულტეტი, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები და ასოცირებული პროფესიონალები პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და პროგრამების მონიტორინგში. ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამამ მიიღოს უკუკავშირი ყველა კუთხით, რასაც მივყავართ ჰოლისტურ შეფასებამდე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, შესაძლებელია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განსაზღვრა, სადაც დაინტერესებული მხარეები შეძლებენ წარმოადგინონ უკუკავშირი. აღნიშნულის მხარდასაჭერად მუდმივ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრგვალ მაგიდასთან და ვორქშოპები.

ინსტიტუციას გააჩნია მექანიზმი, რომლის მიხედვით ახორციელებს პროგრამის მოდიფიცირებას მიღებული შეფასების შედეგების შესაბამისად. მაგალითისათვის მოდულარული მიდგომის პილოტირება პროგრამაში გაანალიზებულ იქნა 2021-2022 წლებში. ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზმა გამოავლინა დამატებითი ცოდნის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება. შედეგად, 2023-2024 სასწავლო წლიდან შემუშავდა ახალი მოდულარულ სპირალური სილაბუსი.

ინსტიტუციას შემოღებული აქვს ლექციაზე დაკვირვების წინასწარ განსაზღვრული შაბლონი სწავლის მეთოდების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მიზნით. შეფასება ხორციელდება დამკვირვებლების მიერ როგორც იმავე ასევე სხვა პროგრამებიდან, რაც უზრუნველყოფს მიუკერძოებელ შეფასებას. სტუდენტები თამაშობენ გადამწყვეტ როლს პროგრამის გაუმჯობესებაში თითოეული სემესტრის ბოლოს ისინი აფასებენ ძირითად აკადემიურ კურსს/საგნებს და წარმოადგენენ ხედვას გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შედარება უცხოური

უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პროგრამა განახლებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. პროგრამის ეფექტიანობა განისაზღვრება მონიტორინგის შედეგების მრავალფეროვანი ინდიკატორების გამოყენებით. თუ შეფასების პროცესი გამოავლენს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, პროგრამის დახვეწის მიზნით განხორციელდება საჭირო ცვლილებები.

საერთო ჯამში, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართულობით ხორციელდება პროგრამის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება. ინფორმაციის სისტემური შეგროვება და ანალიზი გარანტიას იმის, რომ პროგრამა განგრძობით რეჟიმში თანხვედრაში იქნება დარგის მოთხოვნებთან და მაღალ აკადემიურ ხარისხთან. სხვადასხვა დაინტერესებული მხრის ჩართულობა, დაწყებული აკადემიური პერსონალით და დამთავრებული დამსაქმებლებით იძლევა პროგრამის ჰოლისტურად შეფასების გარანტიას. სტუდენტური პარლამენტი/თვითმმართველობის როლი შეფასების პროცესში დემონსტრირებს რომ, პროგრამა მიზანმიმართულია შეფასების პროცესში გაითვალისწინოს სტუდენტების პოზიციას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია
- შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგები,
- გასაუმჯობესებელი აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, შესაძლებელია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განხორციელება, სადაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. აღნიშნულის მხარდასაჭერად რეგულარულ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრგვალ მაგიდასთან და სამუშაო შეხვედრები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშინა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	--------------------------------	--	---	-------------------------------------

5.3. პროგრამის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: მხითარ ჰერაცის ფონდის
სახელობის ერევნის სამედიცინო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ზოგადი მედიცინა" მეშვიდე საფეხური

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ენდი გიბსი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მიჰალი ბოროში

სალომე ვორონოვი

ნინო ჩიხლაძე

ედუარდ ავაგიანი

ჰეინე მარტიკიანი